პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი
23
დეკემბერი
1936 წ.
№ 296 (4795)

სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყრას სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან

დავიცვათ ციტრუსები!

სუბტროპიკული რაიონების პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ციტრუსების ფრონტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. საქართველომ წელს მანდარინის დამზადების გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა. ციტრუსების დარგში გამოიჭედნენ ახალი ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ თავის საქმის ტექნიკას.

მაგრამ ეს არავითარ საფუძველს არ გვაძლევს მივეცეთ თვითკმაყოფილებას. ბოლშევიკებს არ შეშვენის თვითდამშვიდება. ციტრუსების დარგში ჩვენს წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანები გვიკარნახებენ ამას.

ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი საქართველოში 1940 წლისათვის აყვანილ უნდა იქნას 20 ათას ჰექტარამდე. ამ დავალების ღირსეულად შესასრულებლად საჭიროა მტკიცე სანერგე ბაზის შექმნა. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ამ მხრივ სათანადო მუშაობა გასწიეს 1937 და 1938 წელს ციტრუსთა ახალი ფართობის გასაშენებლად საჭირო ნერგები (2 წლიანი და ერთწლიანი) საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მოპოვებით 2.444.000 ცალის რაოდენობით. მყნობა საუკეთესოდ ჩაატარეს და ამიტომ ნამყენის გახარება გაცილებით უკეთესია, ვიდრე გასულ წლებში იყო. ნერგების ამ რაოდენობის სანიმუშოდ გამოზამთრება სერიოზულ მუშაობას მოითხოვს.

„ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობაზე ამხანაგ სტალინს დავპირდით, რომ 1937 წელს საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მივცემთ ნახევარ მილიარდ ცალ ციტრუსის ნაყოფს. დაპირების შესრულების ვადა ახლოვდება" — ასეთია საბრძოლო მითითება, რომელიც მოგვცა ამხ. ლ. ბერიამ საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. მე-5 პლენუმზე.

ციტრუსთა ფართობის შემდგომი ზრდისა და მაღალი მოსავლის ამოცანა მოითხოვს სანიმუშოდ მოვუაროთ არსებულ ნარგავებს და სანერგე მასალას.

დადგა მეტად პასუხსაგები პერიოდი, ზამთარი „ძალაშია შესული". ციტრუსთა პლანტაციების და ნერგების სანიმუშოდ მოვლა მხოლოდ მაშინ იქნება დაყენებული მკვიდრ ნიადაგზე, თუ ყოველმხრივ დავიცავთ მათ ყინვისაგან. როგორც სჩანს, წელს ზამთარი დასავლეთ საქართველოში მეტად მკაცრი იქნება. სათანადო სიგნალი უკვე არის. სუბტროპიკული ზონის ზოგიერთ რაიონში უკვე იყო მინუს 3 გრადუსი ყინვა.

მაგრამ ადგილებზე მეთაურობამ ეს სერიოზულობა სათანადოდ ჯერ კიდევ ვერ გაითვალისწინა. ზოგიერთი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების აქტივის და კოლმეურნეთა მასების ყურადღება ჯერ კიდევ არ არის მობილიზებული ამ საკითხის ირგვლივ.

ადგილებიდან მოსული სიგნალები, რომ აქა-იქ ციტრუსთა ნერგები ჯერ კიდევ არ არის გადარგული სპეციალურ ფარდულებში და არ დაუმთავრებიათ ციტრუსთა შეხვევა, მაშინ როდესაც ამ სამუშაოთა შესრულების დაწესებული ვადები უკვე კარგა ხანია ამოიწურა.

ყინვისაგან უნდა დავიცვათ როგორც ნაყოფის მომცემი ციტრუსები, ისე სანერგე მასალა. განსაკუთრებით ეს ითქმის ნერგებზე, რომელნიც ყინვისადმი უფრო მგრძნობიარე არიან.

სანერგე მასალის მნიშვნელოვანი რაოდენობა მოდის აფხაზეთზე. მაგრამ იქ ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და კოლმეურნეობის ხელმძღვანელი არ აფასებს ციტრუსთა ყინვისაგან დაცვის ამოცანას და ეს სამუშაო თვითდინებაზეა მინდობილი. ლაკობას სახელობის საბჭოთა მეურნეობაში, მაგალითად, 90.000 ცალი ნერგი არ არის გადარგული ფარდულში. ყურადღება არ ექცევა ნერგების წესიერად დარგვას საზამთრო ფარდულებში. მესამე ინტერნაციონალის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში (გაგრის რაიონი) ნერგებს ამოთხრისას ფესვები დაუზიანეს. ასეთი ნერგი ფარდულში რომ დარგეს, უკვე ხმობა დაიწყეს. სამარცხვინოა საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელთათვის! კოლმეურნეობა „ახალ სოფელში" 1000 ცალი ნერგი დარგეს უსინათლო, სველი ჩალით გადახურულ ფარდულში. ასეთ პირობებში კი ნერგი იღუპება. ეს ფაქტი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამ ფაქტების შემდეგ განა შეიძლება ლაპარაკი სოხუმის რაიმიწგანისა და მტს-ის დირექციის ოპერატიულ მუშაობაზე?

ციტრუსთა გამოზამთრების მხრივ ბევრგან არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქობულეთის რაიონში. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში საზამთრო ფარდულს ფანჯარა არ გაუკეთეს და ნერგს ზრდა-განვითარების პირობები ჩაუხშეს. გეგეჭკორის სახ. კოლმეურნეობაში საზამთრო ფარდულში ნერგი ისე ირგება, რომ არ აკვეცენ დაუმწიფებელ შტოებს.

ზუგდიდის რაიონში კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა საკარმიდამო ნაკვეთებზე ხშირად შეხვდებით ცუდად შეხვეულ ციტრუსთა ნარგავებს. ეს იმიტომ ხდება, რომ რაიმიწგანი სისტემატურად არ ამოწმებს და სათანადო დახმარებას არ უწევს მეციტრუსეებს ამ მხრივ.

ციტრუსთა შესახვევი მასალა ადგილებს საკმაო რაოდენობით მოეპოვებოდათ. მიუხედავად ამისა, მაგალითად, მამათის კოლმეურნეობამ (ლანჩხუთი) ლიმონისა და მანდარინის ნერგები გვიმრით შეახვია! ცხადია, ასეთ პირობებში ციტრუსის ყინვისაგან დაცვა არ იქნება უზრუნველყოფილი.

„მოსამზადებელ ნერგთა უდიდეს რაოდენობას შეუძლია შექმნას ერთგვარი სიძნელეები ზამთრის მოსალოდნელი ყინვებისგან ნერგთა დაცვისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფაში — ამბობს ამხ. ბერია.— ესეც ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას მიმდინარე წელს".

უმსგავსოებანი ციტრუსთა გამოზამთრებაში იმის შედეგია, რომ სუბტროპიკული რაიონების ზოგიერთმა მუშაკმა სათანადოდ ვერ გაითვალისწინა ამხ. ლ. ბერიას ეს მითითება და ოპერატიულად ვერ ჩაუდგა სათავეში ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს.

დრო დაყოვნებას არ ითმენს. მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ ყინვის შემთხვევაში არ დავაზიანოთ არც ერთი ძირი ნერგი. წინააღმდეგ შემთხვევაში ციტრუსის მაღალ მოსავალზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება.

1937 წელი გადამწყვეტი წელია ნახევარი მილიარდი ციტრუსისათვის საბოლოოვან ბრძოლაში!

„გლავზოლოტომ" მეორე ხუთწლედი უკვე შეასრულა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ
ი. ბ. სტალინს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს — ამხანაგ
ვ. მ. მოლოტოვს.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარს — ამხანაგ
გ. კ. ორჯონიკიძეს

20 დეკემბერს ოქრო-პლატინის მრეწველობის საწარმოებმა, რომლებიც „გლავზოლოტოს" ემორჩილებიან, შეასრულეს 1936 წლის საერთო პროდუქციის წლიური გეგმა და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26 პროც. ნამეტი მოგვცეს.

ამრიგად „გლავზოლოტომ" მეორე ხუთწლედის გეგმა ოთხ წელიწადში დაამთავრა.

სააფინაჟო ქარხანამ ძვირფასი ლითონების აფინაჟისა და სსრ კავშირის ფინსახკომისათვის მათი ჩაბარების გეგმა მთლიანად შეასრულა.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი—ა. პ. სერებროვსკი
„გლავზოლოტო"—ი. ოპარინი
ა. ბორისოვი
სააფინაჟო ქარხნის დირექტორი — პ. კრინკინი.

◇

ვენახების გაშენების გეგმა შესრულებულია

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს — ამხ. ლ. ბერიას

სიღნაღის რაიონში ვაზის გაშენების საშემოდგომო გეგმა — 122 ჰექტარი — შესრულებულია გადაჭარბებით, დარგულია 125 ჰექტარზე აგროწესების ზუსტად დაცვით.

საქმის განსაკუთრებული სიყვარული და თავდადება გამოიჩინეს აგრონომებმა: მათე შათირიშვილმა, ნიკ. გიორგაძემ, მიხ. გოგოლაშვილმა, თორთლაძემ და სხვ.

კოლმეურნეობებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „წითელი არბოშიკი" (თავმჯდომარე ორდენოსანი ფორე კიკილაშვილი), რომელმაც გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

საქ. კ.პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის მდივანი ა. წითლიძე
აღმასკომის თავმჯდომარე შ. ალავერდაშვილი

○ ◇ ○

სოიას დამზადების გეგმის შესრულება

სოიას კონტრაქტაციით დამზადების გეგმა 200 ტონის რაოდენობით და ზედმეტ ფასებში 60 ტონის შესყიდვისა, მტს-ის ნატურანაზღაურება—24 ტონის რაოდენობით მთლიანად შესრულებულია. სახელმწიფოს ჩაბარდა სულ 284 ტონა ხარისხობრივი მაჩვენებლის დაცვით.

საქ. კ.პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი მ. კილაძე
მახარაძის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ქ. ბოგვაძე

კარლ მარქსის სახ. ყაზარმაში (ბარსელონა)
სურათზე: რედაქცია გაზეთ „წითელ მილიციელისა", რომელსაც ყაზარმის მებრძოლები უშვებენ.
ფოტო „სოიუზფოტოსი"

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საქდესი). „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, რესპუბლიკელები გუშინ გადავიდნენ კონტრიერიშზე და თითქმის ნახევარი კილომეტრით წაიწიეს სოფელ ბოადილის რაიონში. ღამით მეამბოხეთა კოლონამ ვილაფრიკა დელა კანადიდან, ბრუნეტეს მახლობლად (მადრიდის დასავლეთით) დაიწყო წინსვლა გაშლილ ადგილზე მთავრობის ჯარების პოზიციის მიმართულებით. სახალხო მილიციის მეომრებმა ახლო მანძილზე მიუშვეს მეამბოხეები და შემდეგ ძლიერი სროლა აუტეხეს. მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ მეამბოხენი იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ. მეამბოხეთა მეორე კოლონამ იერიში მიიტანა ბუიტრაგოზე (მადრიდის ჩრდილოეთით), სადაც მოიპოვება მადრიდის წყლით მომარაგების ერთერთი წყარო. ეს იერიშიც მოგერიებულ იქნა.

როგორც „ტაიმსი" გადმოგვცემს ბილბაოდან, ოვიედოსთან გრძელდება გაფიცხებული ბრძოლა. მეამბოხენი ცდილობენ განდევნონ რესპუბლიკელები გარეუბან ოლივარესიდან, რომელიც ამას წინათ დაიკავეს რესპუბლიკელებმა. ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ლა კადელაადის უბნის დასაუფლებლად ოვიედოს მიდამოებში.

ასტურიის ფრონტზე მეამბოხეთა მხარეზე იბრძვიან გერმანიიდან ჩამოსული ეგრეთწოდებული „მოხალისენი".

ბილბაო, 21 დეკემბერი. (საქდესი). ბისკაის ფრონტზე მთავრობის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა გამაგრებულ პოზიციებს ვილარეალში და ონდაროაში. დანგრეულია სანგრები და გამაგრებული სახლები.

ასტურიის ფრონტზე, ქალაქ ოვიედოში, მთავრობის არტილერიამ ყუმბარები დაუშინა იარაღის ქარხანა დე ლა ვეგას. ქარხნის ყველა კორპუსში ხანძარი გაჩნდა. მეამბოხეთა არმიისათვის ქარხანას დიდი მნიშვნელობა აქვს.

◇ ◇ ◇

მადრიდის ფრონტზე

პარიზი, 21 დეკემბერი. (საქდესი). ჰავასის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტის გადმოცემით, გუშინ მთავრობის არტილერია ყუმბარებს უშენდა მეამბოხეთა ჯარებს, რომელნიც თავმოყრილი იყვნენ პოსუელო დე ალარკონის, ვილანუევა დელ პარდილიოს და ვალდემოროს რაიონებში; ამასთან დახმარებას უწევდა მთავრობის ჯარების წინსვლას, რომლებმაც მთელი რიგი ახალი პოზიციები დაიკავეს.

მთავრობის ჯარებმა ხელთ იგდეს მეამბოხეთა 6 ტანკი.

გუშინ მეამბოხენი ყუმბარებს უშენდნენ მადრიდს, მთელი რიგი ყუმბარები დაეცა სატელეფონო სადგურის რაიონში.

მეამბოხეთა 30 თვითმფრინავი უშედეგოდ უშენდა ყუმბარებს არავაკის, პოსუელო დე ალარკონის და მახადაონდის რაიონს. ამ რაიონში გაიმართა საჰაერო ბრძოლა. ჩამოაგდეს მეამბოხეთა თვითმფრინავი.

19 დეკემბერს, საღამოს, უსერის უბანზე (მადრიდის სამხრეთით) მთავრობის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. მათ 300 მეტრით წაიწიეს.

ბისკაის ფრონტზე

ბილბაო, 21 დეკემბერი. (საქდესი). ბისკაის ფრონტზე ხაფარატის რაიონში მეამბოხენი ხელმეორედ შეეცადნენ დაეკავებინათ მათ მიერ 18 დეკემბერს დაკარგული პოზიციები, მაგრამ უკუგდებულ იქნენ დიდი ზარალით. გუშინ სანტანდერის ფრონტზე რესპუბლიკის ჯარებმა უეცარი იერიშით უკუაგდეს მეამბოხენი რამდენიმე კილომეტრით ბურგოსისაკენ და მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს.

ცნობები ესპანეთის ფრონტებიდან

ბარსელონა, 22 დეკემბერი (საქდესი). ფაბრის სააგენტოს ცნობით, რაიონი უცვლელია, მადრიდის ფრონტზე, რესპუბლიკელთა ხელშია. მთავრობის ჯარები განაგრძობენ წინსვლას პოსუელო დე ალარკონისა, უმერისა და ბოადილიას რაიონებში. აქ მეამბოხეთა მხარეზე იბრძვიან გერმანელთა დამკვრელი ნაწილები.

მთავრობის ავიაგამანადგურებლები ხელს უშლიდნენ მეამბოხეთა ავიაციის მოქმედებას.

ასტურიის ფრონტზე მაღაროელთა რაზმები ხელახლა მთლიანად შემოერტყნენ გარს ოვიედოს.

ბისკაის ფრონტზე რესპუბლიკელები წინ მიიწევენ.

პარიზი, 22 დეკემბერი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელებმა გაფიცხებული ბრძოლის შემდეგ დაიჭირეს მნიშვნელოვანი პოზიციები, რომლებიც წინა კვირაში ხელთ იგდეს მეამბოხეებმა პოსუელო დე ალარკონისა და ბოადილიას რაიონებში.

მთავრობის ჯარები იგერიებენ მეამბოხეთა იერიშებს

პარიზი, 21 დეკემბერი. (საქდესი). როგორც მადრიდიდან იუწყებიან, იქ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ არანხუესის უბანზე მოგერიებულია მეამბოხეთა კავალერიის იერიში.

მადრიდის ფრონტის სამხრეთ უბანზე რესპუბლიკელთა ჯარებმა გააუმჯობესეს თავისი პოზიციები, იძულებული რა მეამბოხენი უკან დაეხიათ პოსუელოს და ბოადილიის უბანზე.

პარიზი, 21 დეკემბერი. (საქდესი). „ტანი" მადრიდიდან გამოგზავნილ დეპეშაში იუწყება, რომ რესპუბლიკელთა ჯარების უეცარი კონტრატაკის შედეგად, გუშინ მეამბოხეები განდევნეს მთის გადასავალ სომიედოდან (ასტურია). მეამბოხენი გაიქცნენ, დასტოვეს რა იარაღის და სურსათ-სანოვაგის საწყობები.

ჭორები საბჭოთა სამხედრო გემების ესპანეთის წყლებში გაგზავნის შესახებ

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „როგორც იტყობინებიან, 13 სამხედრო საბჭოთა გემმა მიიღო ბრძანება გაემართოს ოდესიდან ესპანეთის წყლებში და სროლა აუტეხოს, თუ მეამბოხენი ხელს შეუშლიან საბჭოთა ნაოსნობას".

საკავშირო დეპეშათა სააგენტო უარყოფს

ცნობა, რომელსაც რეიტერის სააგენტო ავრცელებს, იმის შესახებ, რომ საბჭოთა სამხედრო გემებმა მიიღეს ბრძანება გაემართონ ესპანეთის წყლებში, სინამდვილეს არ შეეფერება და თავიდან ბოლომდე მოგონილია.

ბეკის საპროგრამო სიტყვა

ვარშავა, 18 დეკემბერი. (საქდესი). დღეს სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში საგარეო საქმეთა მინისტრი ბეკი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც შეაჯამა პოლონეთის საგარეო პოლიტიკის შედეგები უკანასკნელი წლის განმავლობაში. შეეხო რა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას, ბეკმა განაცხადა:

„ჩვენს აღმოსავლელ მეზობელთან —საბჭოთა კავშირთან ერთად ჩვენ მიერ გაწეულ მუშაობას კვლავ დადებითი შედეგები მოაქვს. ის საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ იმ ფაქტიდან, რომ ჩვენ ვართ სსრ კავშირის მეზობელი, ნორმალურად წყდება და არ იწვევს რამდენიმე არსებითის შერყევასა და გაუგებრობას.

ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ამასწინათ ააღელვა იმ სიტყვამ, რომელიც საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე წარმოსთქვა ერთერთმა ორატორმა და რომელიც შეიცავდა რაღაც მუქარისებურს საბჭოთა კავშირის დასავლეთის მეზობლების მიმართ. თუმცა ამ ორატორის სიტყვები არ შეეხებოდა პოლონეთს, არამედ ჩვენს მეგობრებს ბალტიის ქვეყნებიდან, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის შეშფოთება დასაბუთებულად მომეჩვენა შემდეგი ორი მიზეზით: ჯერ-ერთი თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც 1933 წლიდან არსებობს სსრ კავშირსა და მის დასავლეთ მეზობლებს შორის, რამდენადაც საქმე შეეხება ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთს, დამყარებულია ერთნაირ პრინციპებზე, მეორე ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ ყველაფერი ის, რაც ხდება ბალტიის ზღვის, ამ ერთადერთი ზღვის სანაპიროზე, რომლისაკენ ჩვენ გასასვლელი გვაქვს.

მე მსურს სრული კმაყოფილებით აღვნიშნო აგრეთვე, რომ ის განმარტება, რომელიც ჩვენ მოგვცეს, არავითარ საფუძველს არ გვაძლევს შეშფოთებისათვის. მე შემთხვევა მქონდა მომესმინა, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ ისეთსავე მნიშვნელობას აძლევს, როგორც ჩვენ, ნორმალურ და კეთილ მეზობლურ დამოკიდებულებას ლიმიტროფულ სახელმწიფოებთან".

შეეხო რა პოლონეთ-გერმანიის დამოკიდებულებაზე, ბეკმა აღნიშნა, „ერთგვარი ნერვიოზობა", რომელსაც იწვევს როგორც გერმანიის, ისე პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი პოლონეთ-გერმანიის დამოკიდებულების გამო. ბეკმა შემდეგ ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად ამისა, პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილება მეგობრული დამოკიდებულება დაამყაროს გერმანიასთან, ჩემი ღრმა რწმენით, „თავის ღირებულებას ინარჩუნებს როგორც პოლონეთის უშუალო ინტერესებისათვის, ისე მთელი მდგომარეობისათვის ევროპაში". ბეკმა აგრეთვე აღნიშნა გერმანიის ავიაციის მინისტრის გერინგის დარბაზობა პოლონეთში მიმდ. წლის თებერვალში და მიუთითა, რომ ამ დარბაზობაში თავისი გამოხატულება ჰპოვა „პოლონეთისა და გერმანიის მუდმივმა მისწრაფებამ საუკეთესო დამოკიდებულება იქონიონ ურთიერთ გაცნობისა და უშუალო შეხვედრების გზით".

შეეხო რა პოლონეთისა და საფრანგეთის დამოკიდებულებას, ბეკმა აღნიშნა ურთიერთ დარბაზობა პოლონეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელი სამხედრო მოღვაწეებისა. მან ხაზი გაუსვა, რომ მარშალ რიძ-სმიგლის დარბაზობას საფრანგეთში მოჰყვა ერთგვარი შეთანხმება, რომელიც ნაციონალურ თავდაცვას შეეხება და რომელზეც ილაპარაკებს ფინანსთა მინისტრი. ბეკმა აღნიშნა, რომ პოლონეთის მთავრობასა და საფრანგეთის მთავრობას შორის არსებული კონტაქტი ევროპის სხვა პრობლემის შესახებაც ფრიად დამაკმაყოფილებელ შედეგებს გვაძლევს.

შემდეგ ბეკმა გულთბილი კილოთი დაახასიათა პოლონეთის ურთიერთობა მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან, კერძოდ ინგლისისა და რუმინეთთან. მაგრამ, მან სრული დუმილით აუარა გვერდი პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის შორის, პოლონეთსა და ლიტვას შორის არსებულ დამოკიდებულების საკითხს.

ბეკმა დიდი ყურადღება მიაქცია ერთა ლიგის საკითხს. მან განაცხადა:

„ყველამ, ვინც მომავლისათვის შეშფოთებულია, სასარგებლოა მოიგონოს, რომ იყო სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანობისა და თანამშრომლობის პერიოდები ურთიერთგოდ და, რომ პირიქით, იყო ომები ერთა ლიგის დროს". ბეკმა მწუხარება და შეშფოთება გამოსთქვა იმის გამო, რომ ერთა ლიგა აჭიანურებს აბისინიის საკითხის ფორმალურად გადაწყვეტას. მან იმედი გამოსთქვა, რომ „უახლოესი სესია ჟენევაში ბოლოს მოუღებს მთელ ამ საქმეს".

შემდეგ ბეკი შეეხო ესპანეთის საკითხს. მისი სიტყვით, პოლონეთის მთავრობა ჰფიქრობს, რომ არავითარი პრაქტიკული აზრი არ ჰქონდა ერთა ლიგის ჩაბმას ამ ძნელი პრობლემის განხილვაში.

ბეკმა აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთმა ერთა ლიგის პლენუმზე წამოაყენა პოლონეთის კოლონიური ინტერესების პრობლემა.

ინგლის-იტალიის დაახლოვება

ვენა, 21 დეკემბერი. (საქდესი). „ნეიე ფრეიე პრესეს" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლის-იტალიის დაახლოვების წესით უახლოეს პერიოდში დასახულია შემდეგი ღონისძიებანი:

1) ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დეკემბრის დამლევამდე ინგლისი და საფრანგეთი დახურავენ თავის დიპლომატიურ მისიებს ადისაბებაში და იქ დააარსებენ გენერალურ საკონსულოებს. ეს იქნება იტალიის მიერ აბისინიის ანექსიის აღიარება დე-ფაქტო.

2) 1937 წლის იანვრის დამდეგ ინგლისსა და იტალიას შორის მოხდება ნოტების გაცვლა. ამ ნოტებში ორივე მთავრობა განაცხადებს, რომ ისინი მისწრაფიან შეინარჩუნონ მშვიდობიანობა ხმელთაშუა ზღვაზე, სცნობენ ურთიერთ ინტერესებს და სურთ ანგარიში გაუწიონ მათ, აგრეთვე უარს იტყვიან მისწრაფებაზე შეცვალონ სტატუს-ქვო.

3) ერთა ლიგის საბჭოს 1937 წლის იანვარში განზრახული სესიის დროს ინგლისი შეეცდება შეარიგოს იტალია ერთა ლიგასთან აბისინიის დელეგაციის რწმუნების ცნობაზე უარისთქმის გზით. თავის პოზიციის გასამართლებლად ინგლისი დაიმოწმებს იმას, რომ აბისინიის დელეგაცია არ წარმოადგენს მთავრობას, რომელიც მართავდეს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს.

4) აბისინიაში იტალიის იმპერიის ფორმალური ცნობა მოხდება მაშინ, როცა ინგლისის ელჩი რომში და იტალიის ელჩი ლონდონში ჩააბარებენ ახალ რწმუნებით სიგელებს ინგლისის ტახტზე მეფე გეორგ VI ასვლასთან დაკავშირებით. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ რწმუნებით სიგელებში იტალიის მეფე წოდებული იქნება აბისინიის იმპერატორადაც.

რომი, 21 დეკემბერი. (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ელჩმა დღეს ინახულა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი და აცნობა მას, რომ ინგლისის მთავრობამ დაადგინა უკან გაიწვიოს ინგლისის დიპლომატიური მისია ადის-აბებიდან და შეცვალოს იგი გენერალური საკონსულოთი.

საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ანალოგიური განცხადებით მიმართა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა.

ადის-აბებაში იხურება ინგლისის დიპლომატიური მისია

ლონდონი, 21 დეკემბერი. (საქდესი). ინგლისის მთავრობამ აცნობა იტალიის მთავრობას თავისი გადაწყვეტილება დახუროს ინგლისის დიპლომატიური მისია ადის-აბებაში და დაარსოს იქ გენერალური საკონსულო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეს გადაწყვეტილება „არ არის დაკავშირებული ინგლის-იტალიის მოლაპარაკებასთან ხმელთაშუა ზღვის საკითხებზე და სრულიადაც არ შეეხება იტალიის მიერ აბისინიის დაპყრობის ცნობის საკითხს".

◇ ○ ◇

„ერ ნუველი" სსრ კავშირის 1936 წლის მიღწევების შესახებ

პარიზი, 21 დეკემბერი. (საქდესი). „ერ ნუველი" სტატიას უძღვნის საბჭოთა კავშირის 1936 წლის მიღწევებს. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ავიაციის წარმატებებს და მიღწევებს კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. „ყველა დარგში, — სწერს გაზეთი,—საბჭოთა კავშირის ხალხნი აღწევენ მათ მიერ დასახულ მიზნებს და ხშირად გადაჭარბებით ასრულებენ თავდაპირველ გეგმებს. საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დიადი სახელმწიფო გახდა. საერთაშორისო მასშტაბით საბჭოთა კავშირს არ შეუწყვეტია თანამშრომლობა მშვიდობიანობისმოყვარულ ხალხებთან კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის საქმეში. საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის ინტერესთა დაცვის საქმეში დიდ როლს თამაშობს არა მარტო თავისი მოსახლეობის სიმრავლის გამო. ყველანი, ვინც კი იცის, რომ მშვიდობისმოყვარული ხალხნი ყველა დარგში ძლიერნი უნდა იყვნენ, თუ მათ სურთ დაიცვან საერთაშორისო წესრიგი და, იქნებ, ამით შეაჩერონ ომის მომხრეთა რიხი,—ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ შედეგებს".

◇ ○ ◇

სიანის ამბების გარშემო

ტოკიო, 21 დეკემბერი. (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტოს ნანკინელი კორესპონდენტის სიტყვით, იაპონიის დიპლომატიური წრეები ნანკინში ამტკიცებენ, რომ ნანკინის მთავრობამ აცნობა იაპონიის ხელისუფალთ თავისი განზრახვა ჩააქროს ჩან სუე-ლიანის აჯანყება, თუნდაც ამისათვის საჭირო გახდეს ჩან კაი-შის სიცოცხლის შეწირვა. ნანკინის მთავრობამ, აცხადებენ შემდეგ ამ წრეებში, განუცხადა იაპონიის ხელისუფალთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებს პოლიტიკას, რომელსაც ჩან სუე-ლიანი მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნავენ იაპონიის დიპლომატიურ წრეებში, ნანკინის მთავრობა უარს არ იტყვის დამსჯელ კამპანიაზე, სანამ ჩან კაი-შის არ გაათავისუფლებენ.

○ ◇ ○

ნანკინის ჯარების ოპერაციები ჩან სუე-ლიანის წინააღმდეგ

ლონდონი, 20 დეკემბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტო ნანკინიდან იუწყება, რომ მთავრობის ჯარებმა, რომლებმაც განაახლეს ოპერაციები ჩან სუე-ლიანის წინააღმდეგ, გაფიცხებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ხუასიანი (80 კლმ. სიანის აღმოსავლეთით). ნანკინის მთავრობის არაოფიციალური წარმომადგენელი სუნ ძე-ვენი, რომელიც თვითმფრინავით ჩავიდა სიანში, ცდილობს მიაღწიოს ჩან-კაი-შის განთავისუფლებას.

◇

სად ჩასძირეს „კომსომოლი"

მოსკოვი, 22 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ირკვევა, ფაშისტ-პირატებმა საბჭოთა თბომავალ „კომსომოლს" ყაჩაღურად გაუსწორდნენ ალჟირიდან 130 მილის დაშორებით. ცოტა უფრო ადრე „კომსომოლთან" რადიოკავშირი ჰქონდა საბჭოთა გემ „კუზბასს", რომელიც ატლანტიკიდან მიდიოდა იტალიის ნავსადგურ ლივორნოში. შემდეგ „კომსომოლმა" შესწყვიტა პასუხის გაცემა გამოწვევაზე. მალე „კუზბასმა" მიიღო რადიოგრამა უცნობი გემებიდან, რომ ისინი ხედავდნენ გემს, ალბათ, საბჭოთა გემს, რომელიც იწვოდა.

„კუზბასმა" დაუყოვნებლივ გადაუხვია თავის კურსსა და გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც „კომსომოლი" უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ რაიონში მან ზღვის ზედაპირზე აღმოაჩინა მხოლოდ ნავთისა და ზეთის კვალი.

„კუზბასმა" ჰორიზონტზე შენიშნა მეამბოხეთა პირატული კრეისერი, რომელიც მას უახლოვდებოდა, და დაუყოვნებლივ წავიდა თავისი კურსით და მშვიდობით ჩავიდა ლივორნოში.

ბოლო მოვუღოთ ფაშისტთა პროვოკაციას!

(ტელეფონით ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან. 22 დეკემბერი).

ცნობამ ფაშისტ მეკობრეთა თავხედური პროვოკაციის შესახებ, რომლებმაც ჩასძირეს საბჭოთა თბომავალი, მოსკოვის აღშფოთება გამოიწვია.

გუშინ მოსკოვის უდიდეს საწარმოებში შესდგა მიტინგები. მუშების მოსკოვის საერთო მოთხოვნაა ჯეროვანი პასუხი გაეცეს ომის ფაშისტ გამჩაღებლებს. ვთხოვთ მთავრობას მიიღოს უმკაცრესი ზომები მშვიდობიანობის დამრღვევთა მიმართ, რომლებიც ხელჰყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს სახელსა და ღირსებას. ქარხანა „სერპ ი მოლოტში" შესდგა მიტინგები, რომლებზეც მუშებმა განაცხადეს:

— ჩვენ ვთხოვთ მთავრობას გაგზავნოს სამხედრო გემები, რათა მათ დაიცვან ჩვენი სავაჭრო ფლოტი. ჩვენ ვთხოვთ ჩვენს მთავრობას ჭკუა ასწავლოს ფაშისტ ქვეწარმავლებს, რათა მათ შემდეგში აღარ ჰქონდეთ ყაჩაღური თავდასხმა ჩვენს სავაჭრო გემებზე.

— საჭიროა ჩვენი სავაჭრო გემების დასაცავად გაიგზავნოს სამხედრო გემები! [illegible]

ძერჟინსკის რაიონის სადგურ-გორბაჩოვის განსაკუთრებული მშენებლობის მუშაკთა მიტინგზე გადაწყვიტეს ნახევარი თვის ხელფასი გადარიცხონ 10 თბომავლის და ჩვენი საზღვრების დასაცავად 5 კრეისერის ასაგებად.

აკადემიკოსები კომაროვი, გუბკინი, ნადსონი, შმიდტი, კრჟიჟანოვსკი, ვავილოვი, ფრუმკინი, გრიგორიევი თავიანთ წერილში, რომელიც დღევანდელ „პრავდაში" მოთავსებულია, სწერენ:

„ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებისა და დიადი საბჭოთა დემოკრატიის წარმომადგენლები, ვუთლით ჩვენს ზიზღსა და წყევლა-კრულვას ფაშისტებს, რომელნიც ანგრევენ კულტურას, ფეხით სთელავენ ხალხთა მშვიდობიანი ურთიერთობის უფლებებს და აჩაღებენ მტრობას ერებს შორის. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ბანდიტების დანაშაულებრივი საქციელი დაუსჯელი არ დარჩება და ისინი მალე იგრძნობენ ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის, ჩვენი დიადი ძვირფასი სამშობლოს მძლავრ ხელს, ჩვენი სამშობლოსი, რომლის დაცვისაც არა მარტო ჩვენი ცოდნა უნდა მოვახმაროთ, არამედ სიცოცხლეც უნდა შევწიროთ.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირი

თათბირის დღიური

21 დეკემბრის დილის სხდომა

დილის სრულ 11 საათზე განახლდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირის მუშაობა. სხდომის გახსნისას პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები სტალინი, ვოროშილოვი, გამარნიკი, ეგოროვი, ბუდიონი. თათბირის ათასობით მონაწილე ქალები კვლავ განიცდიან ხალხთა უსაზღვროდ საყვარელ ბელადთან, მასწავლებელთან და მეგობართან ამხანაგ სტალინთან შეხვედრის უდიდეს სიხარულს. აღფრთოვანებული ოვაციები დიდხანს გრძელდება. მაღლა აწეული ათასობით ხელი მგზნებარედ და მხურვალედ უკრავს ტაშს. წკრიალა „ვაშას" სცვლის მისალმებათა მგზნებარე შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, თავდაცვის რკინის სახკომის ამხანაგ ვოროშილოვის პატივსაცემად.

სხდომას ხსნის არმიის პირველი რანგის კომისარი ამხ. ი. ბ. გამარნიკი. იგი სიტყვას აძლევს ვოლგის მხარის სამხედრო ოლქის მფრინავი ლეიტენანტის ცოლს ამხ. ა. ა. დერკაჩს. თათბირი დიდი ყურადღებით ისმენს მის მკვეთრ, შესანიშნავ, სამშობლოსადმი, პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი მხურვალე სიყვარულით გამსჭვალულ სიტყვას, რომელსაც ხშირად აწყვეტინებენ ტაშით.

თავის სიტყვას ამხ. დერკაჩი ამთავრებს მისალმებით ამხანაგების — სტალინისა და ვოროშილოვის მიმართ და ვოლგის მხარის სამხედრო ოლქის მეთაურთა ცოლების სახელით მთელი დარბაზის მქუხარე ტაშის გრიალში ხელს ართმევს ამხანაგებს სტალინსა და ვოროშილოვს.

ტრიბუნაზე არის კიევის სამხედრო ოლქის უმცროსი მეთაურის ცოლი ამხ. ვ. ი. ომერ-იმერელლი.

— თათბირის დელეგატი ქალები, რომლებიც გუშინ გამოვიდნენ, — ამბობს იგი, — ლაპარაკობდნენ თავიანთ დიდ მუშაობაზე წითელი არმიის ნაწილებში. თვითეულ ჩვენგანს სურს გადმოიღოს უკეთესი გამოცდილება, აიმაღლოს კულტურული დონე, გაიფართოოს ცოდნა თავდაცვის საქმეში, რათა უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს მშობლიურ წითელ არმიას.

ურალის სამხედრო ოლქის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სახელით სიტყვას იღებს უფროსი პოლიტხელის ცოლი ამხ. ნ. მ. ხამიტოვა.

კრემლის მაღალი ტრიბუნიდან იგი მისალმების თავის პირველ სიტყვას მიმართავს იმას, ვის სახელთანაც დაკავშირებულია სოციალიზმის ქვეყნის ყველა დიდი და პატარა საქმეები — დიდ სტალინს. (ტაში).

— მესამედ ვესწრები მეთაურთა ცოლების საკავშირო თათბირებს, — ამბობს ამხ. ხამიტოვა, — რა უდიდესი განსხვავებაა პირველსა და ამ თათბირს შორის! რა როგ გაიზარდნენ კულტურულად წითელი არმიის ქალები — მეთაურთა ცოლები! მათი სახით დღეს ჩვენ გვყავს მეორე დამხმარე არმია.

ამხ. ხამიტოვა სამოქალაქო ომის მონაწილეა. მას გავლილი აქვს წითელი არმიის დიდი სკოლა.

— და ახლა, — ამბობს იგი, — ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია სხვა ქალებს — მეთაურთა ცოლებს გადავცე ამ საუკეთესო სკოლაში დაგროვილი ცოდნა.

ამხ. ხამიტოვამ პრეზიდიუმს გადასცა ურალის სამხედრო ოლქის მეთაურთა ცოლების საჩუქრები: ბაშკირული ეროვნული კოსტიუმები — ამხანაგებს სტალინს, ვოროშილოვს; ჩიბუხის ბუდე ამხანაგ სტალინს, მეთაურთა ცოლების მიერ შეკერილი სალაშქრო კოსტიუმი — ამხანაგ ვოროშილოვს.

შავი ზღვის ფლოტის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების მუშაობის შესახებ ლაპარაკობს პოლიტგანყოფილების უფროსის ცოლი ამხ. ე. ფ. ზნამენსკაია.

— ძალაუნებურად გაგონდება, — ამბობს ამხ. ზნამენსკაია, — ჯავშნოსანი „პოტიომკინის" დრო, როცა მეზღვაურებს დამპალი, მატლებიანი ხორცით კვებავდნენ. რა უბადრუკად გვეჩვენება ამ ფონზე ბარონ ჰიტლერის რჩევა-დარიგება, რომელსაც იგი ქალებს აძლევს, დაამზადონ „გემრიელი" სადილი უხორცოდ, უცხიმოდ, უკვერცხოდ!

შავი ზღვის ფლოტის ქალები დიდ თავდადებით მუშაობას აწარმოებენ. ამხ. ზნამენსკაია ლაპარაკობს ნავებით შესანიშნავ გადასვლაზე, რომელიც მეთაურთა ცოლებმა ჩაატარეს სევასტოპოლიდან ოდესაში, შვიდბალიანი ღელვის დროს.

ამხ. ზნამენსკაიამ შავი ზღვის ფლოტის დელეგაციასთან ერთად პრეზიდიუმს გადასცა საჩუქრები: ამხანაგ სტალინს — დიდი მოქარგული მხატვრული პანო, რომელიც გამოხატავს წითელფლოტელთა დასვენებას, ამხანაგ ვოროშილოვს — საზღვაო საზღვრების რუკა, ამოქარგული ჰიდროგრაფიკული განყოფილების მუშაკთა ცოლების მიერ.

დარბაზში შემოდის მსუბუქი მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სამეურნეო მუშაკთა ცოლების დელეგაცია. ამ დროს პრეზიდიუმში კვლავ გამოჩნდება ამხანაგი სტალინი და მასთან ერთად ამხანაგები მოლოტოვი და კალინინი. დარბაზში კვლავ გრიალებს მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია. დიდხანს არ სწყდება ტაში და მისალმებათა შეძახილები.

ამხ. სოკოლოვა მსუბუქი მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სამეურნეო მუშაკთა ცოლების სახელით მიესალმება წითელი არმიის სახელოვან მეთაურთა მებრძოლ მეგობრებს და უწოდებს მათ საბჭოთა ქალების მოწინავე რაზმს.

— ჩვენ ვამაყობთ თქვენით, — აცხადებს იგი. — როცა მუშაობას ვიწყებდით, თქვენ იყავით ჩვენთვის მაგალითის მომცემნი. ჩვენ დავეხმარებით ქმრებს მუშაობაში, რათა მთელ ქვეყნიერებაზე საუკეთესო არმია — წითელი არმია მსოფლიოში ყველა არმიაზე უკეთ იყოს ჩაცმული და დახურული.

დელეგაციამ გადასცა საჩუქრები: ტრიოხგორნაია მანუფაქტურისაგან — საბავშვო ტანისამოსი სანაპირო რაიონების საუკეთესო საბავშვო ბაღისათვის, ეგორიევსკის ბამბეულის ფაბრიკებისაგან — ფლანელის კოსტიუმები შორეულ-აღმოსავლეთის სანაპირო რაიონების საბავშვო ბაღისათვის, ლენინგრადის სატრიკოტაჟო ფაბრიკა „კრასნოე ზნამიასაგან" — ტრიკოტაჟის კოსტიუმების კომპლექტი წითელი არმიის საუკეთესო საბავშვო ბაღისათვის და საჩუქრები მოსკოვის ფაბრიკა „კრასნაია როზასაგან" საუკეთესო საზოგადოებრივ მუშაკთათვის — წითელი არმიის მეთაურთა ცოლებისათვის.

ამხ. სოკოლოვა და მის შემდეგ დელეგაციის ყველა დანარჩენი წევრები მთელი დარბაზის მქუხარე ოვაციაში ხელს ართმევენ ამხანაგ სტალინს.

გულთბილად ხვდება დარბაზი ლენინგრადის სამხედრო ოლქის დელეგატ ქალს ანა პროკოფის-ასულ მორიხევიჩს — წითელი არმიის ოთხი მეთაურის დედას. მას დიდი ყურადღებით უსმენენ, ხშირად უკრავენ ტაშს მის უბრალო, გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სიტყვებს.

— მე ძალიან მოხარული ვარ, — ამბობს ანა პროკოფის ასული, — რომ მონაწილეობას ვღებულობ ამ სათათბიროზე. ჩვენ აქ მოვუსმინეთ [illegible], ინჟინერ, ტექნიკოს ქალებს. შეხედეთ, რა მწვერვალებს მიაღწია ქალმა საბჭოთა კავშირში! მის წინაშე ყველა კარი ღიაა, იგი დახმარებას უწევს წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებას. გიყურებთ თქვენ, ახალგაზრდებს და გული ვერ იტევს სიხარულს, ვინაიდან მახსოვს, თუ რას წარმოადგენდა ქალი რევოლუციამდე. განა წინათ მე შემეძლო ოცნება იმაზე, რაც სტალინურმა კონსტიტუციამ საბჭოთა ქალს მისცა? ახლა კი ყველა ჩემი შვილი — წითელი არმიის მეთაურია.

მაშ მოდით უფრო უკეთ ვიმუშაოთ ჩვენი სამშობლოს სასარგებლოდ.

«Как невесту Родину мы любим,
Бережем, как ласковую мать».

— მოჰყავს მას სიტყვები ცნობილი სიმღერიდან სამშობლოს შესახებ.

— თქვენ იტყვით, რომ მოხუცი ვარ, მაგრამ მე მხოლოდ ოცი წელიწადია რაც ბედნიერად ვცხოვრობ. ამჟამად მონაწილეობას ვიღებ საგუნდო წრეში, სანიტარული თავდაცვის წრეში, ვმუშაობ საბავშვო კერაში, ყველგან, სადაც საჭიროა ქალის თვალი და ხელი. მე, — აცხადებს იგი დარბაზის ტაშის გრიალში, — შევისწავლი პარტიის ისტორიას და ვისწავლი სამედიცინო დის მოვალეობას, — იქნებ გამომადგეს. თქვენ ბელადებს კარგი საჩუქრები მიეცით და ჩემი საჩუქარი კი — ოთხი შვილია, რომლებიც წითელ არმიას მივეცი. ანნა პროკოფის-ასულის უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავს.

გაუმარჯოს ჩვენს მამას და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! (მქუხარე ოვაცია).

შუააზიის სამხედრო ოლქის უზბეკთა ლენინის ორდენის მეცხრამეტე სამთო-კავალერიის უფროსი ლეიტენანტის ცოლი ამხ. გაუხარ რაჰიმოვა დივიზიის წითელარმიელი თვითმოქმედების 500 მონაწილისა და წამომწყებთა სახელით მიესალმება თათბირს, ამხანაგებს სტალინსა და ვოროშილოვს.

— მოდი და ნუ იმღერებ, — ამბობს იგი, — როდესაც ჩვენ ღრუბლებში შევარდნებივით შეგვიძლიან ფრენა.

ამხ. რაჰიმოვამ და ოლქის დელეგატ-ქალების ჯგუფმა ნაციონალური ნაწილების მეთაურთა ცოლების სახელით გადასცეს საჩუქრად ნოხები — ამხანაგებს სტალინს, ვოროშილოვს, გამარნიკსა და ბუდიონის.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სახელით გამოდის პირველი რანგის კაპიტნის ცოლი ამხ. ნ. ე. რიბალტოვსკაია.

იგი მებრძოლ მეგობარ-ქალების კოლექტივის სახელით გულითად სალამს უძღვნის საკავშირო თათბირის მონაწილე ქალებს.

— ამ ბრძოლაში, — აცხადებს იგი, — ქალს განკუთვნილი აქვს საპატიო როლი. ეს როლი განსაკუთრებით მაღალია ჩვენთვის, მეთაურთა ცოლებისათვის. ჩვენი მეთაურთა ყველა ცოლის სახელით შემიძლიან პირობა მოგცეთ, რომ მთელ ჩვენს ცოდნას, მთელ ენერგიას, მთელ სიყვარულს ვუძღვნით ჩვენს მშობლიურ წითელ არმიას და ვიმუშავებთ უფრო უკეთესად, უფრო თანხმოვნად.

ამხ. რიბალტოვსკაია დაწვრილებით მოგვითხრობს ცოლების საზოგადოებრივ მუშაობას, იმას, თუ როგორ ამყარებენ ისინი იდეურ წვრთნასა და სიფხიზლეს ყოველ კუბრიკში, ყოველ საერთო საცხოვრებელში, როგორ ზრუნავენ თავისი შვილების აღზრდაზე.

დასასრულ ამხ. რიბალტოვსკაია თათბირს აცნობებს, რომ ბალტფლოტის მეთაურთა ცოლებმა მოამზადეს საჩუქრები ამხანაგებისათვის — სტალინისა, ვოროშილოვისა და გამარნიკისათვის. ბალტფლოტის დელეგატმა-ქალებმა, რომლებსაც მქუხარე ტაშით შეესალმნენ, საჩუქრები გადასცეს პრეზიდიუმს.

პოლკოვნიკის ცოლი ამხ. ფ. ბ. ავაკიმიანი (ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქი) მისალმებით მიმართავს ამხანაგ სტალინს და თავის პირველ სიტყვებს წარმოსთქვამს სომხურად. შემდეგ დელეგატი-ქალი ლაპარაკობს ამიერ-კავკასიის განთავისუფლებული ქალის ახალ ცხოვრებაზე, დიდ გამარჯვებებზე სომხეთისა, რომელიც სტალინური კონსტიტუციით მოკავშირე რესპუბლიკად იქცა. სომხეთის ვოროშილოვის სახელობის [illegible] წითელ [illegible]ურთა ცოლების მრავალსახოვან მუშაობაზე.

— ჩვენს სიამაყეს, — აცხადებს ამხ. ავაკიმიანი, — წარმოადგენენ პირველი და მეორე საფეხურის ვოროშილოველი მსროლელი ქალები. სროლაში საოლქო შეჯიბრების დროს წითელი არმიის სახლის ერევნის რაზმმა დაიჭირა პირველი ადგილი. ჩვენთან მეთაურთა მრავალი ცოლი ას შესაძლებელში მიზანში სროლისას ასსავე ახვედრებს.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. ავაკიმიანი ამბობს:

— ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარება, ვინაიდან ვიცით, რომ რუსებიცა და უკრაინელებიც, ქართველები და სომხები, ტაჯიკები და უზბეკები, ყაზახები და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ეროვნებანი შემჭიდროებული არიან ერთიანი სტალინური მეგობრობით, ძლიერი არიან სტალინური კონსტიტუციით. საჭირო მომენტში ისინი ყველანი, როგორც ერთი კაცი, ხელიხელჩაკიდებული გამოვლენ, რომ დასცხონ მტერს.

გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, საყვარელ სახკომს ამხანაგ ვოროშილოვს!

გაუმარჯოს სოციალიზმის მსოფლიო — ისტორიულ გამარჯვებათა დიდ ორგანიზატორს, ჩვენს მამას, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

გრიალებს ხანგრძლივი ტაში.

დარბაზში შემოდის [illegible] დელეგაცია. თავისი მებრძოლი მეგობარ-ქალების მისასალმებლად მოვიდნენ კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკური და სამეურნეო მუშაკების ცოლები. ისინი შემოდიან ხასხასა წითელი ალმით და მოაქვთ უზარმაზარი ტორტი. თათბირის მონაწილე ქალები ფეხზე ამდგარი მისალმებენ კვების მრეწველობის მუშაკებსა და მათ მებრძოლ სახკომს ამხ. მიქოიანს, რომელიც პრეზიდიუმში გამოჩნდა, დიდხანს გაგრძელდა მეგობრობის ეს მხიარული დემონსტრაცია. მაგრამ აი ტაში მიჩუმდება და კვების მრეწველობის საინჟინრო-ტექნიკურ და სამეურნეო მუშაკთა ცოლების წარმომადგენელს ამხ. ზოტოვას საშუალება ეძლევა დაიწყოს თავისი სიტყვა. იგი თავის სიტყვას უძღვნის კვების მრეწველობის წარმატებებს, რომელიც გაუგონარად გაიზარდა სტალინური ხუთწლედებისა და ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის დაუღალავი მზრუნველობის შედეგად.

თათბირის მონაწილე ქალები ღრმა ყურადღებით ისმენენ საბჭოთა კვების მრეწველობის მუშაკთა წარმომადგენელი — ქალის სიტყვას და, როდესაც იგი გულწრფელი მადლობის სიტყვებით მიმართავს ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს, საბჭოთა [illegible] ამხ. ვოროშილოვს დარბაზში [illegible] უმაგალითო ოვაცია. ყოველი მხრიდან მოისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს. „ვაშა" — ამხანაგ სტალინს! გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს! გაუმარჯოს ამხანაგ ვოროშილოვს! გაუმარჯოს ამხანაგ კალინინს! გაუმარჯოს ამხანაგ მიქოიანს!" დელეგატი ქალები მიესალმებიან ამხანაგებს გამარნიკს, ბუდიონისა და ეგოროვს. და ისინი ისევ და ისევ ოვაციებით შესცქერიან ამხანაგ სტალინს, რომელიც გულთბილად უპასუხებს ამ მქუხარე ტაშს.

თავმჯდომარე ამხ. კრასნოვა დილის სხდომას დახურულად აცხადებს.

აფხაზეთში მთავრდება ციტრუსთა წლევანდელი უხვი მოსავლის გადამუშავება. სურათზე: მუშა-ქალი ოსტროუხოვა ახარისხებს მანდარინს სოხუმის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ილიჩში".

ფოტო პარასკევოპულოსი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

21 დეკემბრის საღამოს სხდომა

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის ცოლების სრულიად-საკავშირო თათბირის საღამოს სხდომა იხსნება ამხ. უგოლკოვას თავმჯდომარეობით.

პირველი ლაპარაკობს ჩრდილოეთის საზღვაო ფლოტილიის მეთაურთა ცოლების დელეგატ-ქალი ამხ. ა. მ. მაირანოვა.

იგი იხსენებს იმიერპოლარულ მხარეში ამხანაგების სტალინის, ვოროშილოვისა და კიროვის ჩასვლას სამი წლის წინათ და ამბობს, რომ ამ ჩასვლამ, ამხანაგ სტალინის ყურადღებამ მხარის საჭიროებებისადმი, ენთუზიაზმით აღანთო იმიერპოლარული მხარის შრომელნი.

სიტყვა ეძლევა ციმბირის სამხედრო ოლქის უფროსი ლეიტენანტის ცოლს ამხ. ნ. მ. ხიხოიკინას.

— ჯარის ნაწილი, საიდანაც მე ჩამოვედი, — ამბობს იგი, — ციმბირის სამხედრო ოლქში მოწინავე ნაწილია. მას ხელთ უჭირავს კუიბიშევის დროშა. ამაში ჩვენი ქალური შრომის წილიც ურევია.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან მის უკანასკნელ სიტყვებს, როცა იგი მადლობას უძღვნის ამხანაგ სტალინს ბედნიერი ცხოვრებისათვის და გადასცემს პრეზიდიუმს ამხანაგ სტალინის პორტრეტს, შესრულებულს მეთაურთა ცოლების კოლექტივის მიერ, რომელიც 60 ქალისაგან შესდგება. ეს პორტრეტი გაკეთებულია 36 ათასი პატარ-პატარა ამოქარგული ჯვარედინისაგან. მეთაურთა ცოლები ამ პორტრეტზე ორნახევარ თვის განმავლობაში მუშაობდნენ.

ამ დროს პრეზიდიუმში გამოჩნდება ამხანაგი ვოროშილოვი, რომელსაც თათბირის ყველა მონაწილე მხურვალე ოვაციას უმართავს.

ამხ. ხიხოიკინა პრეზიდიუმს გადასცემს ამხანაგ ვოროშილოვის პორტრეტს, ასეთივე წესით შესრულებულს.

ხანგრძლივი ოვაციით, მისალმების შეძახილებით ხვდება თათბირი ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩს, რომელიც პრეზიდიუმში გამოჩნდება.

ამურის ფლოტილიის სარდლის ცოლი ამხ. ი. კ. რუდნევა მეთაურების, მათი ცოლებისა და შვილების, მებრძოლებისა და ამურის ფლოტილიის ბაზაზე მცხოვრები მუშების სახელით საბრძოლო წითელფლოტურ სალამს გადასცემს ამხანაგებს სტალინს, ვოროშილოვს და საბჭოთა მთავრობას.

— ჩვენ ახლა, — ამბობს იგი, — განვიცდით ჩვენი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ დღეებს. ჩვენ გუშინ და დღეს ვხედავთ სტალინს, გამოგიტყდებით, რომ, ქალური სისუსტის გამო, ჩვენ ვტიროდით კიდეც, როცა დავინახეთ ჩვენი მახლობელი, მშობლიური, საყვარელი სტალინი.

ამხ. რუდნევა შემდეგ ლაპარაკობს ამხანაგების სტალინისა და ვოროშილოვის დიდ ზრუნვასა და ყურადღებაზე შორეული აღმოსავლეთის საჭიროებებისადმი.

— ჩვენ ყველანი — საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის პატრიოტები ვართ. ჩვენ მხურვალედ გვიყვარს ჩვენი მხარე. ვცხოვრობთ რა საზღვარზე, ჩვენ არ გვავიწყდება, რომ მტერი ახლოსაა და ემზადება თავს დაესხას ჩვენს მხარეს. ამიტომ არის, რომ ქალები — მეთაურთა ცოლები ასე გულმოდგინედ მუშაობენ თავდაცვითს საქმეზე.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. რუდნევა აცხადებს:

— მტერი ემზადება, რომ თავს დაესხას ჩვენს სამშობლოს, შორეულ-აღმოსავლეთს, მაგრამ იგი ვერ ითვალისწინებს, რომ საქმე ექნება არა მარტო წითელ არმიასთან, არამედ მთელ საბჭოთა ხალხთან.

წუთით ჩამოვარდნილ სიჩუმეს მქუხარე ტაშისცემა არღვევს. ტრიბუნაზე ადის მესაზღვრე წითელდროშოვანი ტაჯიკური რაზმის კაპიტნის ცოლი ამხ. ზ. პ. კულკოვა.

ამხ. კულკოვა ასახელებს კიდევ მესაზღვრე მეთაურთა იმ სახელოვან ცოლებს, რომლებიც მთავრობამ დააჯილდოვა ორდენებით საზღვრების დაცვაში თავდადებული სიმამაცისათვის, იმ აქტიური დახმარებისათვის, რომელსაც ისინი უწევენ საბჭოების ქვეყნის წმინდა საზღვრების დამცველ მეომრებს.

შემდეგ გამოდის ამხ. ხ. ფ. ლიკსონოვა — უფროსი პოლიტხელის ცოლი ბელორუსიის სამხედრო ოლქიდან. იგი — დელეგატი ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვრებიდან — დიდი ენთუზიაზმით ლაპარაკობს, თუ როგორ მტკიცედ ხდიან ოლქის ნაწილები დასავლეთის საზღვრების დაცვას, როგორ მონაწილეობენ მეთაურთა ცოლები თავდაცვით მუშაობაში.

ამხ. ლიკსონოვას სიტყვის დროს პრეზიდიუმში გამოჩნდება ამხ. ორჯონიკიძე. თათბირის მონაწილენი მძიმე მრეწველობის არმიის სარდალს მხურვალე და მქუხარე მისალმებებით ეგებებიან.

როცა ამხ. ლიკსონოვა ამთავრებს თავის სიტყვას, ბელორუსიის სამხედრო ოლქის დელეგატთა ჯგუფს დარბაზში შემოაქვს საჩუქრები ამხანაგ სტალინის, მოლოტოვისა და ვოროშილოვისათვის.

საღამოს სხდომის მეორე ნახევარში კრემლის სასახლის დიდ დარბაზში მოვიდა რკინიგზის ტრანსპორტის მეთაურთა, ინჟინერთა და სტახანოველ-კრივონოსელთა ცოლების დელეგაცია. მათი სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კრივონოსმა, ტრანსპორტზე შესანიშნავი მოძრაობის ინიციატორის ცოლმა.

შემდეგ თათბირის მონაწილეებს მიესალმა მძიმე ინდუსტრიისა და თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატების სამეურნეო და საინჟინრო-ტექნიკური დარგის მუშაკთა ცოლების დელეგაცია. საზოგადო მუშაკ-ცოლთა სახელით მხურვალე და მკვეთრი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფეინიგმა.

ორივე დელეგაციამ პრეზიდიუმს გადასცა საჩუქრები და სხდომაზე მყოფ ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს მიართვა თაიგულები.

პოლკოვნიკი ლ. ბარსიაშვილი

ბრძოლა მადრიდისათვის

უკვე თვენახევარია, რაც რევოლუციური მადრიდი მედგრად იგერიებს ფაშისტ გენერლების შეტევას.

უანგარიშოდ იქადოდნენ ფაშისტი გენერლები დანიშნულ დღეს მადრიდის აღებას. ჯერ კიდევ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში ფაშისტურმა გაზეთებმა აცნეს ქვეყანას კონტრრევოლუციონერი გენერლების შეტევის შესახებ ტოლედო-მადრიდის მიმართულებით. ეს „უკანასკნელი ეტაპია ბრძოლისაო" — არწმუნებდნენ ყველას, ე. ი. მადრიდი უახლოეს დღეებში დაეცემაო. 27 ოქტომბერს ერთი დღის „გმირმა" გენ. ვარელამ, რომლის „გმირობა", სხვათა შორის, იმაში გამოიხატა, რომ რამდენჯერმე დაახვედრა უკან უიარაღო რესპუბლიკელ პარტიზანებს, ხოლო როდესაც რესპუბლიკელთა შეიარაღებულ და მედგარ ჯარს შეხვდა იკადრა სწრაფად უკანდახევა, სხვა ფაშისტ გენერლებთან ერთად დიდი ამბით განაცხადა — „ერთი კვირის შემდეგ მადრიდი ჩვენი იქნებაო". ყველას კარგად ახსოვს, რომ 6 ნოემბერს ფაშისტები მიადგნენ უშუალოდ მადრიდს და ფაშისტების „ქადაგმა" გენ. კეიპო დე ლიანომ რადიოთი აცნო ქვეყანას — მადრიდი 7-ში იქნება აღებულიო. ამის შემდეგაც არა ერთხელ უწინასწარმეტყველია ფაშისტების ამ „ქადაგს", რომ მადრიდის დღეები დათვლილია და დღეს თუ არა ხვალ ჩაუვარდება ფაშისტურ გენერლებს ხელშიო, და მრავალჯერ დაუნიშნავს მადრიდის აღების დღე.

მიუხედავად ამისა, მადრიდი იმდენად მედგრად დაუხვდა ფაშისტებს, რომ, როგორც ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" გადმოგვცემს, იმავე „რადიოს ქადაგმა" გენ. კეიპო დე ლიანომ, სჩანს, იმედდაკარგულმა, უკანასკნელ დღეებში მადრიდის შესახებ ასეთი აზრი გამოსთქვა: „მადრიდის აღება მძიმე საქმეაო".

როგორ მიმდინარეობდა მადრიდისათვის ბრძოლა ამ თვენახევრის განმავლობაში?

ფაშისტი გენერლები მადრიდს 6 ნოემბერს მიადგნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში მადრიდის სამხრეთ თავდაცვა კარგად ვერ იყო მოწყობილი და ამის გამო ფაშისტური თვითმფრინავები — გერმანული „იუნკერსები" და იტალიური „კაპრონები" შედარებით თავისუფლად დათარეშობდნენ და უშენდნენ ყუმბარებს მადრიდის მშვიდობიან მცხოვრებლებს, ჟლეტდნენ მათ და ანადგურებდნენ კულტურის ძეგლებს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველდღე მეორდებოდა ფაშისტების დაქირავებული ჯარისკაცების გაცოფებული შეტევა მადრიდზე, გენ. ფრანკოს ჯარმა უნაყოფოდ სცადა მიეწია მადრიდის გარშემო 16 ნოემბრამდე. 16 ნოემბერს მეამბოხეთა სამხედრო ერთეულებმა ნაწილობრივ დაიკავეს „საუნივერსიტეტო ქალაქი". ამის შემდეგ გენ. ფრანკო არაერთხელ ცდილა გამოეყენებინა ეს ადგილი, როგორც ქალაქის ასაღები პლაცდარმი, მაგრამ ამაოდ. ჯერ 22 ნოემბერს მეამბოხეთა ქვეითა ლეგიონი არტილერიის და ტანკების დახმარებით შეეცადა მთლად ჩაეგდო ხელში საუნივერსიტეტო ქალაქი, გაეკაფა გზა მონკლოას მოედნის მიმართულებით. სამი დღის შემდეგ, 25—26 ნოემბერს, მეამბოხეებმა დაახლოვებით იმავე ძალებით მიიტანეს იერიში მადრიდზე საუნივერსიტეტო ქალაქიდანვე, მაგრამ მადრიდის რევოლუციურმა ჯარმა ფეხი არ გადაადგმევინა მათ წინ და ეს ბრძოლაც უნაყოფოდ დამთავრდა მეამბოხეებისათვის. იმავე დროს მეამბოხენი ბრძოლას აწარმოებდნენ კასა დელ კამპოს, კარაბანჩელის და უსერას რაიონებში (მადრიდის სამხრეთით მიდამოები). ამით გენ. ფრანკოს უნდოდა რესპუბლიკური ჯარებისათვის შეექმნა საფრთხე სამხრეთითაც და ამით გაეყო როგორც ძალა, ისე ყურადღება რესპუბლიკური ჯარისა და შეესუსტებინა იგი. მაგრამ მან არა თუ ვერ შეასუსტა და საფრთხეში ვერ ჩააგდო რესპუბლიკური ჯარი, არამედ რესპუბლიკური სარდლობის მოხერხებული ღონისძიების შედეგად თვით ჩავარდა საგონებელში. საქმე ის არის, რომ ფაშისტი გენერლები ასეთი გაფაციცებით მიიჩქაროდნენ მადრიდისაკენ და ისე დარწმუნებულნი იყვნენ მადრიდის ერთი დაკვრით აღებაში, რომ თავის ჯარის ფრთებისა და ზურგის დაცვის შესახებ ნაკლებად ზრუნავდნენ. გზები, რომლებითაც მეამბოხეთა ჯარს საკვები და საბრძოლო მასალის მიღება შეუძლია, ანუ, როგორც სამხედრო პირნი იტყვიან, საკომუნიკაციო გზები, მდ. ტაჰოს ხეობაში შემდეგია: ტალავერისაკენ მიმავალი რკინიგზა, გზატკეცილი ტოლედო-ალმოროკსი-ავილა და ტოლედო-ტალავერა. გზატკეცილი ტოლედო-ალმოროკსი-ავილა ზამთრობით მთიან ადგილში, ალმოროკსის ჩრდილოეთით, თითქმის გაუვალია და ამის გამო გადამწყვეტი მნიშვნელობა ორ სხვა დასახელებულ გზას აქვს. გარდა ამისა, სამხრეთით მადრიდისაკენ მიმავალი ყველა გზა არანხუესთან იყრება. ვისაც ხელში უჭირავს არანხუესი, მის ხელშია, მაშასადამე, მადრიდისაკენ სამხრეთით მიმავალი გზებიც. გარდა ამისა, ვინც არანხუესს ხელში ჩაიგდებს, მას შედარებით ადვილად შეუძლია ტოლედო-ტალავერას და ტოლედო-ავილას გზებს საფრთხე მოუწყოს. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ფაშისტური გაზეთები (კერძოდ გერმანული) ურჩევდნენ გენ. ფრანკოს არანხუესის აღებას, ვიდრე იგი მადრიდს აიღებდა. გენ. ფრანკომ არანხუესს გვერდი აუხვია.

რესპუბლიკურმა სარდლობამ პირველ ხანებში, როდესაც მთელი მისი გულისყური თვით ქალაქ მადრიდის დაცვისაკენ იყო მიპყრობილი, ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია. მაგრამ შემდეგში, როდესაც ზურგი მოიმაგრა და აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა შეუტია მტერს ამ მიმართულებით. ყველას ახსოვს ცნობები იმის შესახებ, რომ ტოლედოს მიმართულებით და არანხუესის მიდამოებში რესპუბლიკური ჯარი 25 ნოემბერს შეტევაზე გადავიდა. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყებოდა, რესპუბლიკურ ჯარს მიზნად დასახული ჰქონდა მდ. ტახოს ჩრდილო ნაპირის დაჭერა, რათა გადაეჭრა მეამბოხეთა საკომუნიკაციო გზები. მართალია, მას ამ მხრივ დიდი გამარჯვება არ მოუპოვებია, მაგრამ იმდენად რეალური საფრთხე შეუქმნა გენ. ფრანკოს ჯარს, რომ იძულებული გახადა იგი თავისი მარჯვენა ფრთა გაეგრძელებინა თითქმის ასი კილომეტრის მანძილზე და მოეხსნა ნაწილი ჯარისა მადრიდის ჩრდილოეთით. გენ. ფრანკომ რამდენჯერმე გამმეორებითი შეტევით სცადა საუნივერსიტეტო ქალაქიდან თვით მადრიდის აღება, მაგრამ ამაოდ. დეკემბრის 1, 2, 3, 4 და 5-ს რამდენჯერმე შეუტიეს მადრიდს. რესპუბლიკელები მედგრად იგერიებდნენ მტერს და რამდენჯერმე შეტევაზეც გადავიდნენ. 1 დეკემბერს ინტერნაციონალურმა ბრიგადამ ხიშტის კვეთებით აიღო კასა კვემადო, იმავე დღეს საღამოთი ააფეთქა კლინიკური საავადმყოფოს შენობა, სადაც 15 დღის განმავლობაში დათარეშობდნენ მეამბოხენი. ამრიგად, რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს თვით საუნივერსიტეტო ქალაქში მეამბოხეთა პოზიციები. მეამბოხეთა შეტევას თან სდევდა ავიაციის თავდასხმა. მაგალითად, 1 დეკემბერს მადრიდს დაეცა მეამბოხეთა 12 ბომბმტყორცნელი და 25 გამანადგურებელი თვითმფრინავი, 2 დეკემბერს — 15 ბომბმტყორცნელი და 48 გამანადგურებელი, 3 დეკემბერს — 6 ბომბმტყორცნელი, 4 დეკემბერს 30 და 40; 5 დეკემბერს — 6 და 14; 6 დეკემბერს 23 ბომბმტყორცნელი და 24 გამანადგურებელი თვითმფრინავი. სულ 6 დღის განმავლობაში მადრიდს 9-ჯერ დაესხა მეამბოხეთა ავიაცია. მიუხედავად ამდენი თავდასხმისა და თვითმფრინავების შესამჩნევი რიცხვისა, ტაქტიკური შედეგი მეტად უმნიშვნელო იყო მეამბოხეებისათვის, რადგანაც რესპუბლიკური ავიაცია არ აძლევდა ბომბების მიზანში ტყორცნის საშუალებას და ბევრი თვითმფრინავიც დაუზიანა მეამბოხეებს. ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკურმა ავიაციამ ჰაერში ბრძოლით და აეროდრომებზე შეუმუსრა მეამბოხეებს 27 ბომბმტყორცნელი და 14 გამანადგურებელი თვითმფრინავი. ალბათ, ბევრს ახსოვს მეამბოხეთა ტალავერას აეროდრომის დანგრევა და 15 თვითმფრინავის შემუსვრა. დეკემბრის პირველ რიცხვებში გენ. ფრანკომ სცადა შეეტია პოსუელოს მიდამოებში. ამით გენ. ფრანკოს სწადდა მოეწყვიტა მადრიდი გვადარამის მთებში მებრძოლ რევოლუციონერთაგან. ესე იგი, მადრიდის ტაქტიკურ შემოვლასთან ერთად ოპერატიული მიზნის მიღწევაც უნდოდა: ორად გაეყო მებრძოლ რევოლუციონერთა ჯგუფი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის გერმანელმა ფაშისტებმა მას ნაწილობრივ უკვე მიაშველეს ჯარი (უსერას სექტორში იმ ხანებში 32 გერმანელი ჩაიგდეს ტყვედ), მაინც ვერ შესძლო თავისი მიზნის განხორციელება, რადგანაც ერთის მხრივ ძალიან შესუსტდა მისი ძირითადი ძალა და მეორე მხრივ რესპუბლიკელთა ჯარი გამაგრდა, მოეწყო და გამოიწრთო ბრძოლებში. ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი" სწერს: „ფაშისტებს კიდევ უკავიათ რამდენიმე შენობა საუნივერსიტეტო ქალაქში, მაგრამ არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ ერთმანეთთან კავშირი იქონიონ, რადგანაც განუწყვეტლივ იმყოფებიან რესპუბლიკელთა უსასტიკესი ცეცხლის ქვეშო". „ტაიმსი" კი საერთო მდგომარეობის შესახებ სწერს: „მეამბოხენი განაგრძობენ შეტევას მადრიდზე, მაგრამ უმნიშვნელო მიღწევები აქვთ რადგანაც მთავრობის არტილერია ჰმუსრავს მათ თავისი ცეცხლითო".

ამრიგად, თვენახევრის ბრძოლების შემდეგ გენ. ფრანკომ მადრიდის აღების მაგივრად მადრიდის ჩრდილოდ განაპირა უბანი — საუნივერსიტეტო ქალაქი დაიკავა, ისიც ნაწილობრივ.

უკანასკნელ დღეებში ბრძოლები შედარებით მიყუჩდა. ალბათ, გენ. ფრანკო ელოდა თავის შესუსტებული ჯარის გაძლიერებას გერმანელი და იტალიელი ფაშისტებით. ეტყობა, ფაშისტურმა გერმანიამ და იტალიამ უკვე მიაშველეს მას საკმაო რიცხვი ჯარისა, რადგანაც, როგორც უკანასკნელი დეპეშები გვაცნობებენ, გენ. ფრანკომ ისევ განაახლა მადრიდის ჩრდილო დასავლეთით შეტევა, ალბათ იმავე ტაქტიკური და ოპერატიული მიზნით, როგორც დეკემბრის პირველ რიცხვებში, მაგრამ კვლავ რესპუბლიკელთა მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა.

გრძელდება მადრიდისათვის ბრძოლა, ბრძოლა შეუპოვარი და, ალბათ, ხანგრძლივიც, მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც რევოლუციურ მადრიდს დარჩება.

◆

რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ

20-21 დეკემბერს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის სხდომათა დარბაზში საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგის ამხ. ერ. ბედიას თავმჯდომარეობით შესდგა რესპუბლიკური თათბირი პარტიული პროპაგანდისა და აგიტაციის შესახებ.

თათბირს დაესწრნენ საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების კულტპროპგანყოფ. გამგეები, ხოლო იმ რაიკომებიდან, სადაც კულტპროპგანყოფილების გამგე არ არის, დაესწრნენ რაიკომის მეორე მდივნები ან მდივნის მოადგილეები.

თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენებები პარტსტორიის შემსწავლელი წრეების მუშაობის შესახებ — თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომის კულტპროპგანყ. გამგის ამხ. აბესაძისა, რაიპარტაქტივის სემინარების მეცადინეობის შესახებ — ბორჯომიდან ამხ. გ. კუხალეიშვილისა და ბაღდათიდან ამხ. ტორჩინავასი, პროპაგანდისტებისათვის დახმარების ორგანიზაციის შესახებ — ამხ. ამ. ბრეგვაძისა, (ქუთაისი), მასობრივ-ჯგუფური აგიტაციის დაყენების შესახებ — საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორჯ. 26 კომ. რაიონიდან ამხ. პირადოვისა, შაუმიანის რაიონიდან — ამხ. თ. აბაშმაძისა.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქ. კ. პ. (ბ) აჭარის ოლქკომიდან — ამხ. ა. თავლაშვილმა, [illegible]დან — ამხ. ვეკუამ, სამხრეთ-ოსეთიდან ამხ. ძილიხოვმა, გეგეჭკორიდან — ამხ. მიქაძემ, [illegible]დან — ამხ. გეურქოვამ, ოჩემჩირიდან — ამხ. ცუკორიამ, გურჯაანიდან — ამხ. ს. ბერუაშვილმა, ბოგდანოვკიდან — ამხ. დიაჩენკომ, ქობულეთიდან — ამხ. თელაძემ, ყარაიაზიდან — ამხ. აზიზოვმა, ბორჩალოდან — ამხ. ისმაილოვმა, ახალქალაქიდან — ამხ. ბალდასაროვმა, აფხაზეთიდან — ამხ. გურთიამ, ალბულად-მანგლისიდან — ამხ. წილოსანმა, ადიგენიდან — ამხ. რატიანმა, ტყიბულიდან — ამხ. ლაფერიძემ, სიღნაღიდან — ამხ. ჰელაიძემ, გორიდან — ამხ. პაპუაშვილმა, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-იდან — ამხ. ა. ზარნაძემ.

თათბირზე ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა ამხ. ერ. ბედია, რომელმაც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება პარტიული წრეების მუშაობის გაუმჯობესების, პროპაგანდისტთა შერჩევის, მათ ზრდისა და მეცადინეობის, პროპაგანდისტთა სემინარების, რაიპარტაქტივის სემინარების და პროპაგანდისტთა კურსების მუშაობის, საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობაზე ხალხთა ბელადის დიდი სტალინის მოხსენებისა და გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის დამუშავების შესახებ, აგრეთვე პოლიტიკური აგიტაციის უფრო ორგანიზებულად მოწყობისა და გაშლის შესახებ სტალინური კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით.

თათბირის დასასრულს მიღებულ იქნა მისალმება საქართველოს ბოლშევიკების სტალინური ხელმძღვანელისადმი, ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი, რასაც თათბირის მონაწილენი ოვაციებით შეხვდნენ. მისალმებას ხელი მოაწერა თათბირის ყველა მონაწილემ.

ხარისხოვანი პური

ორი წელი სრულდება, რაც საკავშირო კომუნისტური პარტიის ცკ-ის პლენუმმა დაადასტურა, რომ „სახელმწიფოს ამჟამად საკმაოდ დიდი რაოდენობით მოეპოვება პური იმისათვის, რომ მთლიანად და აუცილებლად უზრუნველჰყოს მოსახლეობის მომარაგება საბარათო სისტემის გარეშე, პურის ფართო ვაჭრობის ყველგან გაშლის გზით“.

საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა თავიდანვე ბოლშევიკურად მოჰკიდეს ხელი ამ დადგენილების განხორციელებას. გაუქმდა საბარათო სისტემა, ყველგან დაწესდა პურის მტკიცე ფასები, ფართოდ გაიშალა პურის სავაჭრო ქსელი, რამაც აღმოფხვრა სპეკულაცია, შეამცირა ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასები.

პური! რა საოცნებო და მიუწვდომელი იყო იგი საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის დროს. როგორ ეძებდნენ მშრომელები „წამლად“ ავადმყოფისათვის პურს, მაგრამ სად იყო!

დღეს კი რა ხარისხის პური გინდათ, რომ არ იშოვოთ თვით მიყრუებულ სოფლებშიაც კი?!

პურის გამოცხობის საქმეს ტფილისში აწარმოებს საქპურტრესტი. მან დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწია. აშენდა პურისსაცხობი ორი დიდი მექანიკური ქარხანა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მექანიზებულია 9 პურისსაცხობი, რემონტი გაუკეთდა ყველა ძველ თორნესა და ფურნეს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ქარხნებმა დღემდე ვერ უზრუნველჰყვეს სხვადასხვა ასორტიმენტის პურის გამოცხობა. მაგალითად, სხვადასხვა სახის პურის საუკეთესოდ გამოცხობა მოითხოვს ცომის დამატებითს დამუშავებას, რაც ხშირად არ კეთდება, ეს კი ამცირებს პურის ხარისხს და საერთო ეფექტიანობას, განსაკუთრებით ეს შეეხება 96 და 85 პროცენტიან ფქვილს, რომლიდანაც პურს მხოლოდ მექანიკური ქარხნები აცხობენ.

არის შემთხვევები, როცა ქარხანა აცხობს უვარგის პურს: პური გარედან დამწვარია, შიგნით კი ცომიანი. პურის ინსპექცია და საქპურტრესტის წარმომადგენლები ებრძვიან ასეთ მოვლენებს, მაგრამ უხარისხო პურის გამოცხობა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი. მაგალითად, პურის 1-ლ ქარხანაში მარტო ოქტომბრის განმავლობაში მელიქიძის ბრიგადამ 2703 კგ. წუნდებული პური გამოაცხო.

რა არის ამისი მთავარი მიზეზი? ამ კითხვაზე 1-ლი ქარხნის ძველი მუშა ბოდიაინი ასეთ პასუხს იძლევა: „ქარხნის საამქროს აკლია სიფხიზლე, სუსტია ლაბორატორიის მუშაობა, არ არსებობს კონტროლი, მოისუსტებს ინსტრუქტაჟი, კადრების შერჩევას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება“. ეს უდაოდ სწორია.

საქპურტრესტმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს, რომ საბოლოოდ მოსპოს უვარგისი, წუნდებული პურის გამოცხობა, რაც საგრძნობ ზარალს აყენებს წარმოებას.

პურის ხარისხს აფუჭებს აგრეთვე პურის ვაჭრობის მოუწესრიგებლობა. პურის ვაჭრობა თბილისში დაკისრებული აქვს თბილკვებვაჭრობას, რომელსაც აქვს 141 სავაჭრო წერტი. არ არის არცერთი უბანი, სადაც პურის სავაჭრო წერტი არ იყოს. მაგრამ ცუდად არის დაყენებული პურის წერტებში პურის მიზიდვის საქმე. თბილკვებვაჭრობის განკარგულებაში არსებული 14 ავტომანქანა და 25 „ავტოტაჩკა“ არ არის მოწყობილი სპეციალურად პურის გადაზიდვისათვის. ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა ამავე ტრანსპორტით, პურის გარდა, ზიდავენ სხვა სურსათ-სანოვაგეს, ეს კი აუარესებს პურის ხარისხს.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად, საქპურტრესტს უნდა დაემზადებინა სპეციალური დახურული ყუთები პურის გადასაზიდავად, მაგრამ მან ეს რატომღაც დღემდე „ვერ შესძლო“.

პურის გადასაზიდავი ტრანსპორტის მოუქნელი მუშაობის გამო პური ხშირად დაგვიანებით მიაქვთ პურის სავაჭრო წერტებში. მომხმარებელი იძულებულია იყიდოს წინადღით მიტანილი ძველი პური. ხშირია აგრეთვე შემთხვევები, როცა საღამოობით ზოგიერთ წერტში პური აღარ არის. ეს ხდება იმიტომ, რომ პურის ზოგიერთი გამყიდველი აღარ ღებულობს დაგვიანებით მოტანილ პურს, ეშინია მისი „ჩაწოლისა“ და გამოშრობის გამო დანაკლისისა. ამის შედეგად ქარხნებში ხშირად რჩება გამომცხვარი პური, რაც სხვა საჭიროებისათვის იხმარება (სუხარი და სხვ.) ტრანსპორტის მოუქნელი მუშაობის შედეგად თბილკვებვაჭრობამ სექტემბერში შეკვეთილი პურის საერთო რაოდენობიდან ვერ წაიღო ქარხნებიდან 96 პროცენტიანი 30.631 კგ. პური.

სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დაცულია პურის ცენტრალურ სავაჭროებში, მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი გარეუბნის პურის №№ 93, 101, 136 წერტებში.

თბილკვებვაჭრობის წინაშე მწვავედ დგას აგრეთვე პურის გამყიდველთა კადრების საკითხი. ხშირია შემთხვევები, როცა გამყიდველი ყალთაბანდობს, ატყუებს მომხმარებელს წონაში. ამ მიზეზით მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში სამუშაოდან მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს 228 კაცი, მათ შორის 103 წონაში მოტყუებისათვის, 71 თანაკლისისათვის, 20-ყალბი საბუთების წარდგენისათვის და 34-არაკულტურული ვაჭრობისათვის.

ალექსანდრე სანაძე (წერტი № 52) სისტემატურად ატყუებდა მომხმარებლებს წონაში. ის განსაკუთრებით იბრიყვებდა პურის საყიდლად მისულ ბავშვებს, რომლებსაც კილოზე 80-100 გრამს მაინც აკლებდა. ასევე ყალთაბანდობდნენ პურის გამყიდველი თამარა ქულაშვილი (წერტი № 49), ნიკოლოზ არჩვაძე, ევგენი ნადირაძე, სანდრო ჯელია, ხოლო პურის გამყიდველმა ვალერიან დოლიძემ სხვა ხერხს მიმართა: სასწორის იმ მხარეზე, რომელზედაც პური იწონებოდა, ქვევიდან მიაკრა თუნუქის ნაჭერი წონით 30 გრამამდე.

მთელ რიგ წერტებში გამყიდველები პურის ნამცეცებს განზრახ ჰყრიან სასწორის იმ მხარეზე, რომელზედაც პური იწონება. ასეთი ნამცეცების წონა პურის სავაჭრო № 83-ში 20 გრამამდეა ხოლმე.

პურის ვაჭრობის ყალთაბანდები სასტიკ პასუხისგებაში არიან მიცემული, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა თბილკვებვაჭრობამ უფრო მეტი დაკვირვებით შეარჩიოს კადრები და იზრუნოს პურის გამყიდველთა შორის კულტურული ვაჭრობის წესებისა და დისციპლინის განმტკიცებაზე.

პურის გამომცხობმა და მოვაჭრე ორგანიზაციებმა საბოლოოდ უნდა აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, ფართოდ დანერგონ სტახანოვური მეთოდი, გამოაცხონ ხარისხოვანი პური და ყოველმხრივ დააკმაყოფილონ მომხმარებელთა გაზრდილი მოთხოვნა პურზე. ამას გადაჭრით მოითხოვს საბჭოთა კულტურული ვაჭრობა.

გ. მაჭავარიანი

აქ ციტრუსებს ყინვები ვერაფერს დააკლებს

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ურეკის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობამ მომავალი წლიდან უდოტაციოდ უნდა იმუშაოს. ამ საბრძოლო დავალების შესასრულებლად მეურნეობის ხელმძღვანელები და მუშათა მთელი კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს. ამხ. ლ. ბერიას მითითებათა საფუძველზე აქ უკეთესად მოაწყვეს შრომა და ამით მთელი საშემოდგომო სამუშაოთა გეგმები ვადაზე და ხარისხოვნად შეასრულეს.

განსაკუთრებით კარგად შეასრულეს ურეკში ციტრუსთა პლანტაციების საზამთროდ შეხვევა და ნერგების დაბინავება. 7.200 ძირი მანდარინი, ლიმონი, ტუნგო, ფორთოხალი და გრეიფრუტი ამჟამად ისე საგულდაგულოდ არის შეხვეული, რომ მათ ზამთრის სუსხიანი ყინვები და სიცივეები ვერაფერს დააკლებს. შეხვევის წინ ყველა მცენარე შეწამლეს ფარიანების საწინააღმდეგო შხამით—ზეთოვანი ემულსიის კონცენტრატით. მანდარინის მსხმოიარე ხეებს აკრავენ სარებზე, ხოლო მსუბუქ ნიადაგებზე აკვრასთან ერთად ძირებში ქვიშანარევ მიწას აყრიან, რომ ამით ყინვის გავლენა შეამცირონ.

ლიმონის ხეებს აქ წინათ ოთხკუთხ ქობებს უკეთებდნენ, რაზედაც ბევრი საშენი მასალა იხარჯებოდა, თანაც ასეთ ქოხში მცენარე მოკლებული იყო უხვ სინათლეს, რაც დიდად აფერხებდა ნორმალურ ყვავილობის და ნაყოფის დროზე დამწიფებას. ურეკის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომის ამხ. სიმონ ქარცივაძის წინადადებით, რომელსაც ამ საქმეზე წინათ ცდები ჰქონდა დაყენებული, წელს აქ 1500 ძირ ლიმონის ხეს სამკუთხა ქობები გაუკეთეს. ასეთი სისტემის ქოხში, რომელსაც კარი ქარის საწინააღმდეგო მხარეზე აქვს დატოვებული, დაუბრკოლებლად შეიძლება ნაყოფის კრეფა და მცენარის წამლობა. ყვავილობაც უკეთესად მიდის. აგებაც უფრო იაფი ჯდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამხ. ქარცივაძის წინადადების გატარებით ურეკის საბჭოთა მეურნეობამ წელს 9.000 მანეთზე მეტი ეკონომია გააკეთა.

ურეკში საუკეთესოდაა დაბინავებული ციტრუსთა ნერგებიც. მიუხედავად იმისა, რომ ლიმანტრესტმა ამ მეურნეობას ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გაუგზავნა პროექტები და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა, ფარდულების მშენებლობა აქ ვადაზე დამთავრდა. გეგმით გათვალისწინებული 7 ფარდულის ნაცვლად ააგეს 8. გარდა ამისა, ძველ 7 ფარდულს კაპიტალური რემონტი გაუკეთეს, დაუმატეს ფანჯრები, გაუკეთეს აგურის კედლები. ამჟამად 205.000 ძირი ნერგი მთლიანად ფარდულებშია მიმარხული.

მშენებლობის გეგმის ვადაზე შესრულებაში თავი ისახელეს დურგლებმა არჩილ გუჯაბიძემ და კუზმა ძასენკომ, კალატოზებმა—ვასილ ჩეკუნოვმა, ვასილ სტრახოვულომ, ალექსი დენისენკომ, დამხმარე მუშებმა—თ. გულკოვმა, დ. პომინოვმა და მინების ჩამსმელმა მთელმა ბრიგადამ, რომელსაც მიხეილ კოხი ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებული მონდომებით მუშაობდნენ აგრეთვე ინჟინრები ამხ. ცეკავა და ქობულავა.

ეს ამხანაგები სისტემატიურად გადაჭარბებით ასრულებდნენ ნორმებს და სტახანოვურად შრომობდნენ. მათ შესძლეს ორ თვენახევრის სამუშაოს 37 დღეში შესრულება ხარისხის დაცვით.

○

ურეკის საბჭოთა მეურნეობის მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და გრეიფრუტი, რამდენიმე დღის წინათ ამ სოფლებსა და გორაკებს რომ ახავერდებდა, ახლა ზამთრის თბილ სამოსელშია გახვეული. აქაური ადამიანები — სტახანოველები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ზრუნავენ, მუშაობენ, რათა ურეკის ხარისხოვანებმა მომავალ წელს უკეთესად მოისხან და მეტი ნაყოფი მისცენ საბჭოთა ქვეყანას, რათა მეურნეობამ ჯანსაღი ნერგი მიიღოს და უდოტაციოდ, მომგებიანად იმუშაოს.

ტ. აცანილი

◇ ◇ ◇

რამი ყარაღაჯში

1896 წელს შემოიტანეს რამის კულტურა საქართველოში, მაგრამ მეფის მთავრობისა და მენშევიკების ბატონობისაგან მას ხეირი არ ღირსებია. საბჭოთა ხელისუფლებამ კი რამი, როგორც სხვა ძვირფასი მცენარეები, მოწინავეთა რიგებში დააყენა, განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის საგნად გახადა. ამ მიზნით დიდიხანია რამის სპეციალური ტრესტიც არსებობს და თუ 1931 წელს საქართველოში რამით დაკავებული ფართობი მხოლოდ 48 ჰექტარს უდრიდა, მიმდინარე წელს რამს უკვე 1.105 ჰექტარი უჭირავს, აქედან კოლმეურნეობებში — 888 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 217 ჰექტარი.

ყარაღაჯის (ალაზნის) საბჭოთა მეურნეობაში რამი პირველად 1932 წელს 2 ჰექტარზე გაშენდა. წელს კი აქ ეს კულტურა მოსავალს იძლევა 75 ჰექტარზე. გარდა ამისა, მოწყობილია სანერგე 3 ჰექტარზე.

ნამდვილი სტახანოვური მუშაობა დიდი ხანია დანერგილია აქ უფროსი აგრონომის ამხ. ქ. ჩიხლაძის, აგრ. გ. ქემიკაშვილის და მეურნეობის სხვა ენერგიულ მუშაკთა მეცადინეობით. ამ მუყაითი შრომის შედეგია, რომ შარშან გაშენებული პლანტაციიდან წელს გეგმით გათვალისწინებული 10 ტონის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 37 ტონა ნედლეული მიიღეს, 1934 წელს გაშენებული პლანტაციებიდან კი—20 ტონის ნაცვლად საშუალოდ 58 ტონა. სულ მეურნეობაში წელს გეგმით გათვალისწინებული 3.995 ცენტნერის ნაცვლად მიღებულია რამის 14.880 ცენტნერი ნედლეული — გეგმა შესრულებულია 376 პროცენტით.

სწრაფად იზრდება მეურნეობაში სტახანოველთა რიცხვი. შარშან აქ 8 სტახანოველი იყო, წელს კი 30 კაცზე მეტია. გარდა ჩვენს მიერ დასახელებული აგრონომებისა, განსაკუთრებით გამოირჩევიან მუშები: გიორგი ცაბუტაშვილი, ცოლაკ მელიქიანცი, მიხ. შემლაინეხინი და სხვ. თითოეული მათგანი გეგმას 200 — 300 პროცენტით ასრულებს.

მეურნეობაში დიდი ხანია დამუშავდა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე ამხ. ლ. ბერიას მიერ გაკეთებული მოხსენება, აღინიშნა აქ მეურნეობის მთელი რიგი დეფექტები და დაისახა სათანადო კონკრეტული ღონისძიებანი.

ამხ. ლ. ბერიას მითითებებისა და მეურნეობის წლიური საწარმოო გეგმის შესრულებაში მიღწეულ წარმატებებთან დაკავშირებით ყარაღაჯის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს — არ დაუშვან აგროწესებიდან გადახვევის, სამუშაოს ჩამორჩენის არცერთი შემთხვევა, ყველა ვალდებულება შეასრულონ ვადაზე ადრე და ხარისხიანად, განსაკუთრებით კი მეურნეობაში გზების გაყვანა-შეკეთება, წყლის გამოყვანა და სხვა მიმდინარე სამუშაოები.

ჩვენ კარგად ვიცით აცხადებენ აქ, რომ მიღწეული წარმატებანი კი არ ამცირებენ ჩვენს მოვალეობას, არამედ მეტ ვალდებულებას გვაკისრებენ ახალი გამარჯვებისათვის. ჩვენ კარგად გვახსოვს ამხ. ლ. ბერიას შეფასება და მითითებები რამის შესახებ, რომ „ამჟამად ამ კულტურის მნიშვნელობა დაფასებულია და ჩვენ მისი განვითარების დარგში უდავო წარმატებანი გვაქვს. ეს საქმე შემდეგშიაც უნდა წავწიოთ წინ“.

ჩვენ გავიმარჯვეთ წელს, აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ მომავალ წლებშიაც. ასეთია საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მისწრაფება.

ტ. თოდრაძე.

ამხ. კომის სახელობის თბილისის მექანიკური ქარხნის პარტკაბინეტში მუშები სწავლობენ სტალინურ კონსტიტუციას. ფოტო აკოფოვისა.

პატარა ფელეტონი

იქ ახსოვდეს ჩვენიც, წუნკალს...

(გადმოქართულებული ხოზიაკოდან)

„გასტრონომში“-ს მაღაზიას
მუდმივადვე ეხვევიან:
ზოგს კონსერვის ყიდვა უნდა,
ზოგსა — [illegible]
ზოგს ეს უნდა, ზოგსაც ისა.
ნოქრებს [illegible]
ხუმრობაა?! [illegible]
ცოტა არის გასახვევი?
მაგრამ ნოქარს, წითელ ნოქარს
არ შორდება პირზე ღიმი;
ხსნის ხალისით: რამდენია
კვერცხში ცილა, ხორცში — ცხიმი.
ის საბჭოთა ნოქარია
და საბჭოთა მოქალაქე,
შეკითხვებზე პასუხს აძლევს
საძრახს ძრახავს, საქებს — აქებს.
შეძლებული ქვეყნის შვილნი
მაღაზიებს ეხვევიან:
ოჰ, რა მოეწყო ცხოვრება,
ოჰ, რა კარგი ძეხვებია!

○

„გასტრონომში“ შემოვიდა
ორი უცხო მოქალაქე.
მოიხედეს, მოიხედეს
გაკვირვებით იქით—აქეთ,
შემდეგ წიგნი ამოიღეს
გადაფურცლეს ლექსიკონი,
და ანბანით წაიკითხეს
ფრაზა ძლივ-ძლივს გასაგონი:
— ე... მოეცით თითო კაცს
ერთი კილო კარაქები.
(ეტყობოდა უცხოელებს
ენის ცოდნა არ ჰქონდათ).
— კარაქი გსურთ თითო კილო?
ამავ წუთას, სთქვა ნოქარმა.
და ის თვით დატრიალდა,
რომ მიმართა კვლავ მუშტარმა:
— ე... მოეცით თითო კაცს
ორი კილო... ან და ხუთი.
— ეხლავ, ეხლავ, უპასუხა
მათ ნოქარმა, — ერთი წუთი!
მაგრამ ისევ მიუბრუნდა
ამ ჩვენს ნოქარს უცხოელი:
— ე... მოეცით თითო კაცს
ფუთი ერბო, ფუთი ყველი.
— ნება თქვენი, უპასუხებს,
ალბათ ერბო მოგეწონათ,
და სასწორთან მიაქვს ნოქარს
ფუთი ერბო ასაწონად.
კვლავ მიმართავს უცხოელი:
თითო კაცს — თითო ტონა.
[illegible]
თქვენ გეკნებათ ამიტომა?!
ხუთი ტონა თითო კაცზე,
არ იქნება თითო ხუთი?!
— რატომ არა, უპასუხებს
თუნდ ხუთასი იყოს ფუთი.
— აბა, საწყობს გაუძახეთ:
ათი ტონა მოიტანეთ!
— თქვენ იგებით და ფულებს
სალაროში შეიტანეთ!
ხალხი უცქერს უცხოელებს,
ხალხი მეტად [illegible]
ათი ტონა ერბო-ყველი...
ქორწილი აქვთ განა, პირო?!
აქაც კიდევ შეიბრალეს,
დაიხვეწნენ: საწყლებო,
ალბათ ჰიტლერს გამოექცნენ,
კვებას ჰქონდათ ნაკლებობა.
მერე ნოქარიც დატრიალდა:
სარდაფიდან ზიდავს კასრებს,
სწონის ერბოს, სწონის კარაქს,
სასწორისკენ ყველს მიაგორებს
და როდესაც მორჩა წონას
მზად არისო, დაიძახა.
მაგრამ ორი უცხოელი
ახლა ვერსად დაინახა.
გაიპარნენ უცხოელნი,
აღარ სჩანდა მათი კვალი.
თურმე ამ გზით გვიმოწმებდა
ორგულობა და მტრის თვალი.
ნოქარს ბრაზიც არ მოსვლია,
მიაძახა, ღიმილით, უკან:
სადაც თქვენი დაიკვეხნოთ,
იქ გახსოვდეთ ჩვენიც, წუნკალ!
და შეუდგა თავის საქმეს
გულმოდგინედ მოქალაქე;
შეკითხვებზე პასუხს აძლევს,
საძრახს ძრახავს, საქებს — აქებს.
შეძლებული ქვეყნის შვილნი
მაღაზიებს ეხვევიან:
ოჰ, რა კარგი ცხოვრებაა,
ოჰ, რა კარგი ძეხვებია!

ხოზიკა.

ჩემი ახალი ვალდებულება

(კოლმეურნის წერილი)

27 წელიწადია ვმუშაობ ციტრუსების საქმეზე. ამ ხნის განმავლობაში 1.800.000 ძირი ციტრუსი დავამყნე და გავახარე. მიხარია, რომ ჩემი შრომით გაზრდილი მანდარინისა და ლიმონის ხეები ამშვენებენ სკოლის ეზოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, რომ მათი ნაყოფით ახლა მხოლოდ ჩვენივე ქვეყნის მშრომელები სტკბებიან.

როგორც მუდამ, ისე წელსაც მყნობაზე ვმუშაობდი. სტახანოვური შრომის მეთოდების გამოყენებით ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავის, ინტაბუეთისა და სხვა კოლმეურნეობებში ყოველდღიურად ვამყნიდი საშუალოდ 3.775 ძირ ციტრუსს, ესე-იგი 685 ცალით იმაზე მეტს, ვიდრე ცნობილი მყნობელი აროს კიტია ამყნის. გავახარე ნამყენთა 98 პროცენტი.

პირობას ვაძლევ ჩვენს ლავრენტი ბერიას, მომავალ წელს, როცა მასობრივი მყნობის კამპანია დაიწყება, ყოველდღიურად დავამყნო 3.800 ძირი ციტრუსი და გახარების მხრივ შევინარჩუნო გასული წლის მიღწევები. ჩემს გამოცდილებას შევასწავლი 10 კოლმეურნეს.

ის გამარჯვება, რომელიც წელს მოვიპოვე, საშუალებას მაძლევს მომავალი წლიდან სოცშეჯიბრებაში გამოვიწვიო ორდენოსანი აროს კიტია.

გერონტი მახარაძე
ჩოხატაურის რაიონი, სოფ. ვანი.

კლ. გოგიავა

ქორწილი კოშკში

ქსნის ხეობა უჩვეულო გუგუნმა შეაზანზარა. ლამისყანელმა გლეხებმა მიატოვეს რთველი და ჰალისაკენ გაეშურნენ. სახლებიდან, ყანებიდან და ბაღებიდან გამოდიოდა დიდი და პატარა და გზად მიმავალ მეზობლებს უერთდებოდა. გუგუნი თანდათან მატულობდა. ყველას ეჩქარებოდა. ყველას სახეზე სიხარულთან ერთად გაოცებაც იყო გამოხატული. მოხუცები ხელების ქნევით რაღაცაზე დაობდნენ და გაბრწყინვებულ თვალებს შორეულ ჰალებისაკენ აცეცებდნენ. ახალგაზრდები წინ მირბოდნენ, თითქოს ერთმანეთს სიმარდეში ეჯიბრებიანო. მათი ომახიანი ყიჟინა ცას წვდებოდა. მიტო დაწინაურდა. თავის ტოლებს წინ გაუსწრო აღტაცებულმა. მინდორი გადაირბინა და რამდენიმე წუთის შემდეგ მოდანდგარე მანქანის წინ ქოშინით დაერჭო. ტრაქტორის სანახაობით გაერთო და მალე დამშვიდდა.

— გამარჯობა ძია პავლიკა!

პავლიკას მისალმება არც კი გაუგონია. საქმეში იყო გართული. მანქანაში ზეთს ასხამდა და თანაც გამალებით სტვენდა. თითქოს ღამის მეხრეებს აჯავრებსო. მიტომ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, მისალმებაზე პასუხი როგორ არ მომცაო, გული აუჩქროლდა, მაგრამ უცებ გაიფიქრა — ნამეტანი ხმაურია და ვერ გაიგონაო. ისევ ღონე მოიკრიფა და დაიყვირა.

— გამარჯობა, ძია პავლიკა!

— მოდი ხოლტზე შეგსვამ — ღიმილით უთხრა პავლიკამ და ხელიც დაუქნია. მიტო შეყოყმანდა, დარცხვენილად ჩაილუღლუღა.

— მეშინიან.

— რისი ბიჭო. მგელი ხომ არა გგონია. ეს გუთანია, მოდი ჩქარა.

შერცხვა მიტოს. გული ტრაქტორისაკენ მიუწევდა. მაგრამ ეშინოდა მაინც, რადგან არასოდეს არ ენახა იგი. წინათ მეხრე იყო და ხარებს ირეკებოდა, ახლა კი...

ლამისყანელთა ხმაური თანდათან მატულობდა. მალე მინდორზე გარკვევით გამოჩნდნენ მხიარული ბიჭები. მიტოს ტოლ მეგობრები. მიტო შედგა, გაიფიქრა, ამხანაგებმა არ დამასწრონო და უცებ გადაწყვიტა ტრაქტორზე დაჯდომა. იგი პავლიკას გვერდით მოკალათდა და სიხარულისაგან ათრთოლებული ხან გადაშავებულ ყამირს გადახედავდა და ხანაც ტოლებისაკენ გააპარებდა თვალებს.

ტრაქტორი გრიალით და რახრახით მიაპობდა ქსნის ჰალას და ბელტს ბელტზე აწვენდა. ნაყოფიერი იყო მისი ნახნავი. ეს მიტოს ძალზე აოცებდა. ისე იყო მიტო სანახაობით გართული და ხოლტის გუგუნით გატაცებული, რომ ლამისყანელთა მისვლა არც კი გაუგია. პავლიკამ ხოლტი გააჩერა, ძირს ჩამოხტა და გლეხებს გაუბა საუბარი. ბიჭებმა მიტო რომ ნახეს ტრაქტორზე გული დასწყდათ, როგორ დაგვასწროო და სიცილ-ხარხარით მიესივნენ მანქანას. მალე მიტოს დედაც მოვიდა და შვილი ტრაქტორზე რომ ნახა, გულს შემოეყარა.

— სად ასულხარ, შე ეშმაკის ფეხო, ძირს ჩამოდი — მაგრამ ამან არ გასჭრა.

შემდეგში ხშირად ჯდებოდა მიტო ხოლტზე და მთელი ღამე არ ეძინა. უნდოდა ტრაქტორისტი გამხდარიყო. მაგრამ ვერ გაბედა პავლიკასათვის ეთქვა ხელობა მასწავლეო, ანდა რა ექნა! გულში წადილს ვერ იკლავდა. ბოლოს დედას შეუჩნდა: წადი პავლიკასთან, ჰკითხე სად ისწავლა ხელობაო, მაგრამ მოხუცი ცივად შეხვდა შვილის წადილს.

ერთ დილას მიტო რომ ლოგინიდან წამოდგა, ტრაქტორის გუგუნი მოესმა. ვერ მოითმინა და ჰალისაკენ მოკურცხლა. ქოშინით მიირბინა ხოლტთან, მიესალმა საყვარელ პავლიკას და მის გვერდით მოკალათდა. თითქოს გულის წადილს მიუხვდაო. პავლიკამ დაუთათუნა ზურგზე ხელი და ჩვეული ღიმილით ჰკითხა:

— ძალიან მოგწონს ბიჭო, ეს მანქანა?

— მომწონს მა, მაგრამ ჩემთვის სად სცალიან!

— რატომაც არა, ისწავლე ხელობა და შეაჯექი.

მიტო გარაყანიძე
სტახანოველი ტრაქტორისტი ფოტო ი. ტერის

— ამას თუ მოვესწრები, მეტი რა მინდა! სად ასწავლიან ხელობას? — მიტოს სიხარულისგან სახე მთლად გაუწითლდა.

— თბილისში მუშტაიდშია კურსები. 6 თვეში ტრაქტორისტად გამოგაღწობენ...

— თბილისში უნდა გავემგზავრო, ტრაქტორისტობას ვისწავლი. — უთხრა ამის შემდეგ მიტომ დედას. დედა რატომღაც ახლა წინ არ გადაუდგა შვილის სურვილს. მეორე დღეს შეიარა თემაღმასკომში, საბუთები გამოართვა და საღამოს მატარებელს ტფილისისკენ გაჰყვა.

კურსებზე ადვილად მოეწყო. დაიწყო სწავლის დღეები. წიგნებს ჩაუჯდა. სამიოდე თვის შემდეგ პრაქტიკული მეცადინეობაც დაიწყო. მიტო დაჯდა ტრაქტორზე და პირველად თავის ცხოვრებაში საჭეს ხელი მოჰკიდა. მუხრუჭი გადასწია და მანქანაც გაცოცხლდა იძაგძაგდა, აგრიალდა...

○

მიტო გაიტაცა სწავლამ და მუშაობამ. მისი ცხოვრება უფრო შინაარსიანი გახდა. ერთ წუთს ტყუილუბრალოდ დამჯდარს ვერ ნახავდით, ხან წიგნებს ჩაჰკირკიტებდა, ხანაც ტრაქტორების ნაწილებს. სწავლაში ძალიან დაწინაურდა, ლამისყანაში დედას და პავლიკას აღფრთოვანებულ წერილებს უგზავნიდა. დედაც გახარებული იყო შვილის ბედნიერებით.

ერთხელ მოხუცმა მეტად ცუდი იზმარი ნახა. შეეშინდა, სახლში ვეღარ მოისვენა და ნაშუადღევის მატარებელს თბილისში გაჰყვა. სადგურში ხალხი ირეოდა. დედა ხურჯინით ხელში მიიწევდა გასასვლელ კარებისაკენ, მაგრამ მიტომ უცებ გზა გადაუჭრა და გადაეხვია. შვილის მოულოდნელ შეხვედრის გამო დედას სიხარულის ცრემლები მოერია.

— საიდან შვილო!

— ტრაქტორები მიმაქვს კახეთში...

○

თელავის რაიონის მშრომელები დიდი ზეიმით შეხვდნენ ხოლტს. წითელი დროშებით და ყვავილებით მორთული სადგური ზეიმობდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის 11 წლისთავს და კახეთში ერთერთი პირველი ტრაქტორის შემოსვლას, რომელიც კოლექტიურ შრომის მერცხლად მოევლინა აქაურ მცხოვრებლებს.

სოფელ ზემოხოდაშენის ერეკლე მეფისეული კოშკი წითელ, ყვითელ და ცისფერ ყვავილებით მოურთავთ. კოშკს საიმედო გალავანი არტყია და აქ ტრაქტორისათვის მშვენიერი სადგური მოუწყიათ, მიტოსათვის კი შიგ კოშკში გაუმართიათ პატარა ოთახი. რა უცნაურობაა, როგორ ტრიალებს ჩარხი ისტორიისა! ამ კოშკიდან წინათ ერეკლე მეფის ჯარისკაცები ლეკებს უმიზნებდნენ. ლეკები კიდევ მუსრს ავლებდნენ აქაურობას. ვინ იცის რამდენი სისხლი დაღვრილა ამ გალავნის გალმა! ან რამდენ დედას მოსწყვეტია მკერდიდან საყვარელი შვილი! ახლაც პირქუშად გამოიყურება ეს კოშკი. თელავში და მის მახლობელ სოფლებში საკოლმეურნეო მინდვრების ფონზე გასულ საუკუნეთა ჩონჩხებივით ამართულია კოშკები.

ხევსურებს, ფშაველებს, ქისტებს და თუშებს სოფლის საბჭოს კანცელარიის წინ თავი მოუყრიათ და ტრაქტორის მოლოდინში მღერიან, ცეკვავენ და ყიჟინით ცას წვდებიან. წინათ ესენი ერთმანეთის ჰოსისხლე მტრები იყვნენ, ახლა კი ძმურად შეკავშირებულნი დასევიან საკოლმეურნეო მინდვრებს და საერთო საქმეს აკეთებენ.

მიტო გარაყანიძემ ყვავილებით მორთული ხოლტი შეასრიალა ზემოხოდაშენში, ხოლტს უკან ბავშვები ყიჟინით მისდევდნენ. ტრაქტორის შემოსვლამ ყველანი გაახარა, გარდა კულაკებისა. კულაკები ჩაკეტილ ოთახების ფანჯრებიდან გესლიანი თვალებით შეჰყურებდნენ მშრომელთა ზეიმს.

მეორე დღეს გაჩაღდა მუშაობა. მიტო თავისი ხოლტით პირველად ეკვეთა ხოდაშენის ნოყიერ მიწას და ნასიმინდარი მინდორი ერთიანად გადააშავა. სოფელში საშემოდგომო თესვა და მხრალად ხვნა იყო გაჩაღებული. ტრაქტორმა პირდაპირ სულზე მოუსწრო კოლმეურნეებს, რადგან მათი გამწევი ძალა ვერ აუდიოდა სამუშაოს. ეს ის დრო იყო, როცა მიჯნების მოშლა და მიწების [illegible] ხომეს მიწები და ის იყო, გუთნეულით სახნავად შევიდნენ, მაგრამ კულაკებმა კეტებით გარეკეს ხარები და გუთნები დაამტვრიეს. მთელი დღე მოსცდნენ კოლმეურნენი, ღამით ეს ამბავი მიტოს უთხრეს. მიტომ გაიცინა.

— აბა მე გადამიგდონ ტრაქტორი, ისეთს დავაგრიალებ, რომ სულ დავაფრთხობ მათ!

მართლაც, გათენდა დილა თუ არა, მიტო მარდად წამოხტა ლოგინიდან. კოშკიდან გადახედა მთის ფერდობებზე შეფენილ სახლებს, რომლებიც ნისლში იყვნენ გახვეულნი და თეთრად მოსჩანდნენ.

ეს სოფელ ოქროში იყო. დილით მიტომ ტრაქტორი ხელმოდგინეთ მომართა და გაემართა კულაკების მიწებისაკენ. ტრაქტორის გუგუნმა ოქროს მცხოვრებლები გამოაღვიძა, არ ეძინათ კულაკებს, ტრაქტორი მათ მიწას რომ ეძგერა, გაგულისდნენ, წინააღმდეგობის გასაწევად წამოვიდნენ. შეუტიეს მიტოს, დაემუქრნენ; დაგიმტვრევთ ტრაქტორსო, მაგრამ გარაყანიძეს მათი ბურტყუნისათვის ყური არ უგდია.

— შენ ეი, გველის წიწილავ, შეჩერდი! — დაიყვირა ერთმა — შეჩერდი, შეჩერდი! — გამოეხმაურნენ დანარჩენებიც, მაგრამ რა შეაჩერებდა სოციალისტური შრომით გატაცებულ ადამიანს? მიტო მტკიცედ იჯდა საჭესთან და ტრაქტორს მთელი გულისყურით მართავდა, ეცინებოდა, კულაკები რომ უკან მისდევდნენ, მაგრამ ღიმილს არ იმჩნევდა.

საღამომდე ხუთი ჰექტარი გადაახნა. მეორე დილით ახალ ნაკვეთზე გადავიდა, რა კარგად და რა ლამაზად მიდიოდნენ კახეთის გაზაფხულებული დღეები. მიტომ გონების თვალით გადაიხედა მახლობელ წარსულში, როცა ის ლამისყანაში პავლიკას ეხვეწებოდა ტრაქტორის მართვა მასწავლეო. ახლა კი ხუთი ბიჭი ჰყავს და ღამით ლამფის სინათლეზე უხსნის ტრაქტორის ნაწილებს. რა სწრაფად იცვლება ადამიანის ცხოვრება!

○

უკვე ჩამოთოვა. თითქოს [illegible] რომელთა სახლებიდან ამოსული კვამლი ცას ეჯახებოდა. მიტო ბავშვილკაცურ ოცნებას გაეტაცა. ის ფიქრობდა მომავალზე და ყოველ დღეს სიხარულით ხვდებოდა.

კოშკის გვერდით ნამყენი ვაზის გამოსაყვანი სათბური იყო, რომელშიც ყოველდღე მოდიოდნენ გოგო-ბიჭები და ნამყენის გამოყვანას სწავლობდნენ.

ერთ დღეს მეცადინეობის შემდეგ სათბურიდან მწყობრად გამოვიდნენ გოგო-ბიჭები და თოვლაობა გამართეს. თამაშში მიტოც გაერია; გოგოები სიცილ-კისკისით გამოუდგნენ და თავდაღმართისაკენ გაიტყუეს, გუნდები დაუშინეს და სულ ერთიანად დაფარეს.

— რომ გადაგრიათ, გოგოებო, კაცი არ დაახრჩოთ! — სიცილით წამოიძახა ნინო არევაძემ და გოგოებს გამოუდგა, მიტოს გაეხარდა ნინოს სიტყვები, რომ გაიგონა. ძლივს წამოდგა. კარგი გოგო იყო ნინო. წითელლოყა. კოლმეურნეობაში პირველობას არავის უთმობდა. დღეს [illegible] პირველად შეხვდა მიტო, ნინოს და უცებ დაძმობილდნენ. შემდეგ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. გაზაფხულმა რომ მოაწია, დაქორწინდნენ. მეფე ერეკლესეულ კოშკში დაირწა ახალი ოჯახის აკვანი. კოშკი გამხიარულდა, ყოველი ჭუჭრუტანიდან შემოიჭრა მზის სხივები და მიტოს ოთახი უსაზღვრო ბედნიერებით გაივსო.

გაზაფხულზე ხოლტს კიდევ მოუვიდნენ „ძმები“, თელავში რამდენიმე ტრაქტორი მიიღეს და გაძლიერებული ენერგიით ეკვეთნენ მიწას, გავიდა ერთი წელი და მიტოს ოჯახში გაჩნდა სიხარულის მერცხალი. გოგონა შეეძინა, პატარა ლილისთვის მამამ ოსტატურ შეუკეთა აკვანი; შემდეგ კოშკში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. მიტო თელავში გადმოვიდა საცხოვრებლად. აქ მანქანა-ტრაქტორების სადგური ჩამოყალიბდა, გამრავლდა ტრაქტორთა რიგები. მიტომ ამ ხნის განმავლობაში 15 ტრაქტორისტი მოამზადა, ხელობა შეასწავლა და აი ახლა ისინი თელავში თითით საჩვენებელი ადამიანები არიან. [illegible] თელიან სახლს საძირკველი ჩაუყარა. მიტოს მეზობლად ახლა მრავალი ტრაქტორისტი იშენებს სახლს. მიტო გარაყანიძე ორი შვილის მამაა. წელს 1800 შრომადღე გამოიმუშავა, რაშიც 40 ათას მანეთზე მეტს მიიღებს.

○

რა კარგია ჩვენი ცხოვრება! მიტო სიხარულით იგონებს იმ დღეს, როცა კახეთში პირველად ტრაქტორი შემოასრიალა. მაშინ ორსართულიანი სახლი კი არა, თავშესაფარი ქოხიც არ ჰქონდა.

ახლა მრავალი ათეული ტრაქტორია და კოლმეურნეთა ბეღლები უხვ მოსავლითაა სავსე.

ტყუილად კი არ შეთხზეს თელაველმა კოლმეურნეებმა სიმღერა ტრაქტორზე:

ტრაქტორო, შენი ჭირიმე,
რომ ძლიერი ხარ ღონითა;
არც თივა, ქერი გჭირდება
და არც ბალახი ძოვნითა!

◆



თბილისის სანაპირო ქუჩის მესამე რიგის მშენებლობა მთავრდება. სურათზე: სანაპირო ქუჩის მშენებლობის საერთო ხედი.
ფოტო კალატოზისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ჩვენ გვწერენ

სახლის პატრონი მდგმურებს ავიწროვებს

ვახტანგ თოიძეს აქვს საკუთარი 9-ოთახიანი სახლი (ორბელიანის ქ. № 19). ოთახებს აქირავებს. ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს მ. ეორეთელიანი, რომელიც დარაჯად მუშაობს. ცოლი სატრიკოტაჟო ფაბრიკის სტახანოველი მუშაა. მათ ჰყავთ სამი ბავშვი.

ამას წინათ ეორეთელიანმა თავის ოთახის წინ, ვ. თოიძის დიდის თანხმობით, გააკეთა შუშაბანდი, რაც 800 მან. დაუჯდა.

29 ნოემბერს ღვინით გალეშილი ვ. თოიძე მიუვარდა ეორეთელიანს, [illegible] შაკალი, ჩაამტვრია შუშაბანდი და ჩამოაყარა კედლის ფიცრები. ჰყვიროდა: ვინ მოგცათ შუშაბანდის გაკეთების უფლებაო. ბოლოს სთქვა: ხმა არსად ამოიღოთ, თორემ თბილისის საბჭოში დიდი კაცი ვარ და, სულ ერთია, ჩემთან მაინც ვერაფერს გახდებითო.

ვნახოთ, მართლაც ვერაფერს გახდებიან თოიძესთან და შეარჩენენ მას სტახანოველი მუშის ოჯახის აწიოკებას და ამ ოჯახისთვის მიყენებულ ზარალს?

ართაშ ხრიატოსიანი,
ოლ. ჯავახაძე

○

მეტი ყურადღება განაპირა უბნებს

ცნობილია, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა სახლთა მშენებლობასა და ქუჩების კეთილმოწყობას. მაგრამ თბილისის ზოგიერთი განაპირა უბანი მხედველობიდან გამორჩებათ ხოლმე. მაგალითად, სრულიად შეუწყნარებელ მდგომარეობაშია [illegible] და მისი ახლომდებარე ქუჩები (ლენინის რაიონი). მახლობელი გორაკი ჩამოზვავდა და საცალფეხო პატარა ქუჩა, რომ ყოველგვარი მოძრაობა შეწყდეს. ამ ქუჩებში საკანალიზაციო მილები გაიყვანეს, მაგრამ თვითონ ქუჩების შეკეთებაზე არ უფიქრიათ.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს განაპირა უბნებს.

შ. ხურმავა

○

აშკარა ხელშეშლა

წისქვილკომბინატ № 5-ში ნოემბერი სტახანოვურ თვედ გამოცხადდა. მაგრამ სასურველ შედეგებს ვერ მიაღწიეს. ადმინისტრაცია უთავბოლოდ მუშაობდა. მუშების შეკითხვებს და მოთხოვნებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მანქანები ხშირად ფუჭდებოდა, ტრანსპორტიორი არ მუშაობდა, ტომრები არ იყო. მუშები ეცდებოდნენ. 24 ნოემბერს მეორე და მესამე ცვლა არ მოსულა. ამ დღეს გაუსუფთავებელი გაზით გაღებილი ტომრები მოიტანეს. მუშებს ხელები და ცრემლდენი დაესივნა. მივმართეთ ლაბორატორიას და ტომრები დაწუნებულ იქნა. მუშაობა კი შეფერხდა. საინტერესოა, განზრახ ხომ არაა ეს ჩადენილი?

საჭიროა შემოწმდეს სტახანოვური ერთთვიურის ხელშეშლის მიზეზები.

მუშ. ბებლარ კირაკოზაშვილი

○

სტუდენტთა ქალაქს კლუბი არა აქვს

სტუდენტთა ქალაქში თითქმის სრულიად არ იმართება მხატვრული შემოქმედების საღამოები, მოხსენებები, წარმოდგენები და სხვ. მართალია, არსებობს დრამწრე, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია. ქალაქს არა აქვს კლუბი. მის მაგიერობას სასადილო იწევს. მაგრამ ისიც ძალიან ვიწროა. ამავე დროს სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობენ კერძო პირები, რომელთაც სტუდენტობასთან საერთო არა აქვთ რა.

აქ ჟურნალ-გაზეთების კიოსკიც არ მოიპოვება. საბჭოს ანგარიშის დროს ეს მოთხოვნა შეტანილ იქნა განწესში, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი დარჩა.

ილია გოლქვაძე.

○

ყურადღება საჩხერეს!

სოფელ საჩხერეში (ჭიათურის რაიონი) არაა ელექტროგანათება, არა გვაქვს კინო და არც წარმოდგენები იმართება ხშირად. წინათ აქ მოიტანეს პატარა ელექტრომოტორი, რომელიც ერთ ხანს იძლეოდა მკრთალ სინათლეს, მაგრამ შემდეგში მთლად გაფუჭდა. ორ წელზე მეტია, რაც ელექტროსადგურის მშენებლობა მიმდინარეობს, მაგრამ მის დამთავრებას არა ეშველა რა.

ერთ დროს საჩხერის მშრომელებმა გამოიყვანეს ქუჩებში წყალი და წყაროს სათავეც კარგად მოაწყეს. ახლა სათავე გაფუჭებულია და მილებიც უწესრიგოა. წვიმის დროს წყალი იმღვრევა და მშრომელთ მისი მორიდან ზიდვა უხდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ საჩხერეში არის ორი სრული საშუალო, ერთი არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლები და პედაგოგიური ტექნიკუმი, მაინც არ ეწყობა ლიტერატურული საღამოები.

არსებობს პატარა სამკითხველო რომელიც შეძლებისდაგვარად ემსახურება მშრომელთა მოთხოვნილებებს. ამ სამკითხველოს გამგეს, მუყაით ქალს მარო ჩარკვიანს სურვილი აქვს მოაწყოს კულტურულ-მასობრივი მუშაობა, მაგრამ მას არავინ ეხმარება.

ამ სოფლის მშრომელთაგან ხშირად გაიგონებთ: „ნუთუ აკაკის სამშობლოში ასე უსუსური უნდა იყოს კულტურული მუშაობაო“. ისინი მართალნი არიან. ჩვენ ვფიქრობთ უნდა მივხედოთ ჩვენი, საკოლმეურნეო სოფლის გაზრდილ მოთხოვნილებებს. საჩხერეში უნდა გამოცოცხლდეს კულტურული მუშაობა და სოფლის კეთილმოწყობასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ალ. ფანჩულიძე.

რაიონებში

ექიმი დაუზარებლად მუშაობს

გალავნის სასოფლო საბჭოში (თბილისის რაიონი) მუშაობს ექიმი პაპავა. ის იშვიათი მზრუნველობით ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. კოლმეურნეთათვის მოაწყო 10-დღიანი კურსები ეპიდემიურ ავადმყოფობებთან ბრძოლის საკითხების დასამუშავებლად.

პაპავას ინიციატივით კოლმეურნეობა „წითელ გლეხს“ აქვს სუფთა წყაროს წყალი.

ექიმმა შეამოწმა არასრული საშუალო სკოლის 319 მოწაფის ჯანმრთელობა.

ექიმი პაპავა ხელმძღვანელობს სოფლის საბჭოსთან არსებულ სანიტსექციას. საერთოდ მისი მუშაობა სასოფლო საბჭოში დამაკმაყოფილებელია.

საშა გოგია

○

ერთი მრავალთაგანი

ამ რამდენიმე ხნის წინათ შემთხვევით მოვხვდი ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში. ვისარგებლე ამით და დავათვალიერე მუშების ბინები. შესვლისთანავე გაოცებაში მომიყვანა ბინების [illegible] ტახტმა, სისუფთავემ, სინათლემ. მას ეტყობოდა მომვლელის მზრუნველი ხელი. ეს მომვლელია ერმილე ბედიანიძე. ის ოც წელს ყოფილა კულაკის მოჯამაგირედ, ახალგაზრდობის საუკეთესო დრო კულაკის ბოსლებში [illegible]. თვითონ მას პატარა ქოხიც არ ჰქონია საკუთარი. დღეს იგი საუკეთესო სტახანოველია. ცხოვრობს სახლის მეორე სართულში, ხელადების სურათებით და ყვავილებით მორთულ ბინაში. ჰყავს ორი ძროხა, ღორი, ქათმები. საბჭოთა [illegible] შეისწავლა წერა-კითხვა. ახლა გაზეთს თვითონ კითხულობს.

ვ. ადლაძე

მომავალი მილიონერი

სოფელ თეზის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი“ (თავმჯდომარე გიორგი უზნაძე) კასპის რაიონში ერთერთი მოწინავეთაგანია. იგი მალე მილიონერი გახდება. კოლმეურნეობას აქვს საკუთარი ელსადგური, რომელიც დღეს აშუქებს კოლმეურნეთა ბინებს. აქვს აგრეთვე აგურის ქარხანა და წისქვილი. კოლმეურნეობამ წელს გეგმით გათვალისწინებული 160 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მიიღო 318 ცენტნერი—მიწის ვაშლი. 1937 წლისთვის გამგეობას განზრახული აქვს ააგოს ბოსელი 200 სული პირუტყვისათვის, გაადიდოს კოლმეურნეობის ვენახის ფართობი 9 ჰექტარით.

ი. სიდამონიძე

○

ჭარხალი გზაში იკარგება

გორის რაიონში წელს შაქრის ჭარხლის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. ზოგიერთი ნაკვეთები, სადაც კოლმეურნეობათა ენერგიული მუშაობით ჰექტარზე მიიღეს 600—1000 ცენტნერამდე და ზოგან მეტიც. გორის რკინიგზის სადგურში ჭარხლის ვაგონებს ზედმეტად ავსებენ, რის გამო შაქრის ჭარხალი გზაში (გორიდან აგარამდე) ცვივა, იკარგება. ამ მიზეზით თვითეული ვაგონის დანაკლისი დაახლოებით 10 ფუთს უდრის.

მაჟურიშვილი

○

მუშასაქონელი მოუვლელია

ხაშურის რაიონის სოფელ ბიის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მუშა საქონლის მოვლა-პატრონობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ხარები მუხლამდე ტალახში ტიალ მინდორში ჰყავთ. პირუტყვი წვიმის, სიცივისა და ქარის გამო გამხდარი და დაუძლურებულია. კოლმეურნეობის გამგეობა საჭირო ზომებს არ ღებულობს.

გ. შონია

მიკოლა ბაჟანი თბილისში

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი უკრაინელი პოეტი მიკოლა ბაჟანი, რომელმაც უკრაინულად სთარგმნა ქართული კლასიკური პოეზიის უკვდავი ძეგლი შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“. მ. ბაჟანმა თან ჩამოიტანა პოემის თარგმანი, რომელსაც გააცნობს ქართველ მწერლებს და რუსთაველოლოგებს. მ. ბაჟანი მონაწილეობას მიიღებს უკრაინის პოეზიის საღამოში, რომელსაც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მართავს.

◇

პერსონალური წოდება მასწავლებლებს

საქართველოს განსახკომის ბრძანებით, დაწყებითი სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება მიენიჭა ლიზა ნიკოლოზის ასულ ნიკოლაევას, საშუალო სკოლის მასწავლებლის პერსონალური წოდება მიენიჭათ ლაზარე ვასილისძე ბზალავას, რაჟდენ ბაგრატისძე ჯიბუტიას, ალექსანდრე ზაქარიასძე მიქაშვილს, ელენე ვასილის ასულ პეტრიაშვილს, ეფემია სტეფანეს ასულ მაჭავარიანს, სვიმონ ბაგრატისძე ჯორჯიკიძეს, პლატონ გიორგისძე წულუკიძეს და ივანე ერმილესძე ზვიადაძეს.

◇

მედიცინის მუშაკთა დაჯილდოება

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მედმომსახურების გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის საქართველოს ჯანსახკომმა დააჯილდოვა ზუგდიდის რაიონი გარდამავალი დროშით და 1.500 მანეთით; აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ჯანსახკომები 1.500 მანეთით თვითეული; ცხაკაიას, მიხახალის, სამტრედიის, ჯავისა და გორის რაიონები ათას-ათასი მანეთით.

რაიონების ჯანმრთელობის განყოფილებანი ამ თანხებს გაანაწილებენ რაიონის საუკეთესო მედმუშაკებზე.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მედმომსახურების გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის სასოფლო ექიმის ყოფილი ხელმძღვანელი ექ. ნოე კურკუმელი დაჯილდოებულ იქნა 500 მანეთით. დაჯილდოებული არიან აგრეთვე ექიმები ა. ჯორბენაძე და ჩ. [illegible].

◇

საბურთალოს თიხა

მომავალ წელს საბურთალოზე გადაწყვეტილია აგურის ქარხნის აგება, სადაც აგურის დამზადება იწარმოებს ახალი წესით — აგურის მშრალად დაწნეხვით. ეს ქარხანა თავისი ტექნიკური სიახლით პირველი იქნება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ასეთი ქარხანა აგებულია მხოლოდ ლენინგრადში, მოსკოვში, [illegible].

აგურის მშრალად დაწნეხვისათვის ყოველგვარი თიხა როდი ვარგა. ამ მიზნით გამოსარკვევი იყო — შესაფერისი იქნებოდა თუ არა აგურის ახალი ქარხნისათვის საბურთალოს თიხა, როგორც ნედლეული. სათანადო ცდების მისაღებად ამას წინათ საბურთალოს თიხის ნიმუშები ლენინგრადში გაიგზავნა. წინასწარი ცნობებით, შედეგები დამაკმაყოფილებელია.

ამ ცდების დაკავშირებით თბილისის საბჭომ მიავლინა ორი სპეციალისტი ინჟინერი მოსკოვსა და ლენინგრადში საბურთალოს თიხის გამოცდის საბოლოო შედეგის გასაცნობად.

◇

„კავკასიის ამბების შესახებ“

საქ. კპ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა მაქსიმ გორკის წერილი: „კავკასიის ამბების შესახებ“. წერილი დაწერილია 1905 წელს, ბაქოს გაზეთ „კასპიის“ რედაქტორის შეკითხვის პასუხად. „კასპიის“ რედაქტორი ეკითხებოდა მაქსიმ გორკის—რას ფიქრობთ კავკასიაში ამჟამად მომხდარ ამბებზე. თვითმპყრობელობის ცენზურამ აკრძალა ეს წერილი. მისი დაბეჭდვა მოხერხდა ჟენევაში (ცალკე ბროშურად).

მაქსიმ გორკის ეს წერილი ფრიად საინტერესო დოკუმენტია. მაქსიმ გორკი მისთვის ჩვეული სიმახვილით ამხელს სისხლისმსმელ თვითმპყრობელობას. „ეს დღეები, რომელთაც განვიცდით ჩვენ, მთელი ჩვენი ქვეყნის სულიერი განახლების წინადღეებია“.

ბროშურა იხსნება პარტგამომცემლობის წინასიტყვაობით, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 50 კაპ.

◇

გორის სადგურის უბნის კეთილმოწყობისათვის

1920 წლის საშინელმა მიწისძვრამ გაანადგურა გორი. მაშინდელ მენშევიკურ ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია მის აღსადგენად.

1921 წლიდან დაიწყო გორის აღდგენა. აშენდა რკინიგზის სადგური, ერთიერთი საუკეთესოდ მოწყობილი სადგური საქართველოში, საკავშირო მნიშვნელობის საკონსერვო ქარხანა, საუკეთესო საზაფხულო კლუბი ქალაქის ბაღში, მშვენიერი კინო-თეატრი, სასტუმრო, ხე-ტყის სახერხი ქარხანა, აგურ-კრამიტის ქარხანა, ახალი აბანო და სხვ.

ქ. გორმა იცვალა ძველი სახე. იგი გადაიქცა პატარა სამრეწველო ქალაქად. საწარმოების უმეტესობა თავმოყრილია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადგურის უბანში, სადაც დასახლებული არიან ამ საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი.

სადგურის უბანში ჭის წყალი სრულიად არ ვარგა, რადგან თვითმპყრობელობის დროს აქ ნავთსადენი მილი გადიოდა და ნიადაგი ნავთით გაჟღენთილია. 1934 წლამდე სადგურის უბანი სარგებლობდა რკინიგზის წყალსაქაჩის წყლით, რომელიც მტკვრის ნაპირას მდებარე ჭიდან ქაჩავდნენ. 1934 წელს ამ. რკინიგზის რაიონულმა ტელეფონისტმა ჭასა და მტკვარს შუა გასჭრა არხი და მიუშვა მტკვრის წყალი. ამის შემდეგ სადგურის უბანს სუფთა სასმელი წყალი აღარ ჰქონია. სასმელად ხმარობენ მტკვრის წყალს, მაშინ, როდესაც ქალაქის მთელი ჭუჭყი მტკვარში იყრება. ამის გამო მცხოვრებთა ჯანმრთელობას მრავალგვარი სენი ემუქრება. ქალაქის საბჭო ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამჟამად მიმდინარეობს საუკეთესო წყალსადენის მშენებლობა შიგ ქალაქში, სადგურის უბანზე კი ჯერ არ ფიქრობენ.

უბანი ელექტროგანათებას 1936 წლის პირველ ნახევრამდე საბჭოთა ქარხნის სადგურიდან ღებულობდა, შემდეგ კი ქალაქის საბჭომ გააჩერა ეს სადგური, უნდოდა ქალაქის მთავარი ელსადგურიდან მიეწოდებინა ენერგია სადგურის უბნისთვის. მას შემდეგ უკვე ექვსი თვე გავიდა, სადგურის უბანი კი დღესაც ბნელშია.

კეთილმოწყობილ რკინიგზის სადგურს კარგი ქუჩა ესაჭიროება. სადგურს ქალაქთან ორჯონიკიძის ქუჩა აერთებს, მერმე მოასფალტებული ლენინის ქუჩა და ორჯონიკიძის ქუჩა სადგურამდე. აქ [illegible]. ორჯონიკიძის ქუჩიდან გადის კაბაშვილის ქუჩა. ეს ქუჩა ანტისანიტარიის ბუდეა. აქ წყალი გუბდება და ხშირად ჰყავს მოსახლეობა შეწუხებული როგორც ანტისანიტარიით, ისე იმით, რომ ავდარში ამ ქუჩაზე გავლა შეუძლებელია. ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ ამავე ქუჩაზე მცხოვრები საბჭოს წევრები, „ჩვენი საქმე არ არის, ეს ქალაქის საბჭოს ებრალება“, — ამბობენ.

აუცილებელია გორის სადგურის უბნის მცხოვრებთა უზრუნველყოფა ელექტროენერგიით, სუფთა სასმელი წყლით და კარგი ქუჩებით.

შ. კველიშვილი

ქართველი მწერლები უკრაინულ ენაზე

უკრაინულ ენაზე ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმნას ფართო ხასიათი მიეცა. უკანასკნელი წლის განმავლობაში გადაითარგმნა საბჭოთა ქართული პროზისა და პოეზიის თითქმის ყველა საუკეთესო ნიმუში. უკრაინის კპ(ბ) ც. კ-ისა და მწერალთა კავშირის ორგანომ „მოლოდნიაკმა“ ჟურნალის უკანასკნელი მეათე ნომერი საბჭოთა საქართველოს ლიტერატურას მიუძღვნა.

ჟურნალში დაბეჭდილია 30 ქართველი ავტორის ნაწარმოებთა თარგმანები—ლექსები, მოთხრობები, ადგილები ქართულ საბჭოთა რომანებიდან, კრიტიკოსთა და მეცნიერ მუშაკთა სტატიები ქართულ ფოლკლორზე, ძველ ქართულ ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და სხვ. ჟურნალის ყდაზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა და წარწერა „საბჭოთა საქართველო“.

ჟურნალი იხსნება საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხ. აკაკი თათარაშვილის სტატიით: „ხალხთა მეგობრობის პოეზია“. ქართველი საბჭოთა პოეტების ნაწარმოებებიდან დაბეჭდილია: გალაკტიონ ტაბიძის, ს. შანშიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილის, სანდრო ეულის, გ. ლეონიძის, ი. მოსაშვილის, ი. აბაშიძის, ქ. კალაძის ლექსები, რომელთა თარგმანები შესრულებულია უკრაინელ პოეტების: მიკოლა ბაჟანის, პ. ტიჩინას, რილსკის, ნოვიცკის, კოჩეტკოვის, მ. ტერეშჩენკოს და სხვ. პროზიდან დაბეჭდილია: რამდენიმე თავი ლეო ქიაჩელის „ბათა ქექიადან“ (თარგმანი პარხომოვსკისა), სერგო კლდიაშვილის „უბედური“ (თარგმანი სამრილენკოსი), ქ. ლორთქიფანიძის „ძმები“ (თარგმანი კუშნერისა), პანტ. ჩხიკვაძის „შეძლებული ცხოვრებისაკენ“ (ტუბერის თარგმანი).

ფართოდ არის წარმოდგენილი ქართული კლასიკური ლიტერატურა. დაბეჭდილია ნაწყვეტი შ. რუსთაველის უკვდავი პოემიდან „ვეფხის ტყაოსნიდან“ — თარგმანი მიკოლა ბაჟანისა, ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და დ. გურამიშვილის „ზოგი [illegible]“ — თარგმანი პ. ტიჩინასი, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ — კულიშის თარგმანი.

ჟურნალში დაბეჭდილი სტატიებიდან აღსანიშნავია — პროფ. ქ. ჭიჭინაძის „შოთა რუსთაველი“, ვ. კოტეტიშვილის — „ქართული პოეტური ფოლკლორის ძირითადი მომენტები“, ა. დუდუჩავას—„საბჭოთა საქართველოს მხატვართა სურათები“, ნ. მიწიშვილის—„ახალი კოლხიდა ქართულ პოეზიაში“, შ. დადიანის—„ქართული დრამატურგია“, შ. ალხაზიშვილის — „საბჭ. საქართველოს კინოდრამატურგია“, ა. ვასაძის — „რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი გზები“.

ინტერესს იწვევს ქართველ მხატვართა სურათები. ჟურნალს მოუთავსებია რამდენიმე ექსპონატი გამოფენიდან: „ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის“. აქვე დაბეჭდილია კამანდელიანის მიერ შესრულებული ამხ. ლავრენტი ბერიას პორტრეტი.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ვრცელი ქრონიკა, რომელიც გადმოგვცემს, თუ რაზე მუშაობენ ქართველი მწერლები, ქართველი მწერლების რუსული და უკრაინული თარგმანების ბიბლიოგრაფია, აგრეთვე უცხოეთის თეატრის მუშაკთა გამოხმაურება რუსთაველის სახელობის ორდენოსანი თეატრის დადგმებზე.

◇

მზადება მოსახლეობის აღწერისათვის

თბილისის მოსახლეობის საღწერო ბიუროს ცნობებით, ქალაქში მოსახლეობის აღწერის ჩასატარებლად სულ 2708 მუშაკი იქნება საჭირო. მუშაკთა 25 პროცენტი ნავარაუდევია, როგორც რეზერვი, რათა ავადმყოფობისა ან სხვა რამ მიზეზით ზოგი აღმწერლის სამუშაოზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში აღწერა არ შეფერხდეს.

20 დეკემბრისათვის საღწერო ბიურომ დაამთავრა აღწერის ჩამტარებელთა მომზადება. მოსამზადებელი დარჩა მხოლოდ 84 კაცი, რომლებთანაც მეცადინეობა უახლოეს დღეებში დამთავრდება.

29 დეკემბერს დამთავრდება აღმწერლების სიარული უბნებზე. ინსტრუქტორების ზონის წინასწარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა დამთავრებულია და 1 იანვრიდან ისინი შეუდგებიან აღწერისათვის საჭირო წინასწარი ტექნიკური ხასიათის სამუშაოების შესრულებას.

◇

ახალი ამბები

#თბილისის ლუდის პირველმა ქარხანამ წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა 19 დეკემბრისათვის შეასრულა. ნაცვლად 22.000 ჰექტოლიტრისა, გამოუშვა 22.136 ჰექტოლიტრი ლუდი.

#თბილისის საკრავში მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკის გასაფართოებლად ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადასდო 30.000 მანეთი.

#თბილისელმა კოლექციონერმა ამხ. ფედოსეევმა მუზეუმის კომიტეტს გადასცა პუშკინის თხზულებათა რამდენიმე უძველესი გამოცემა.

#საქართველოს სამხატვრო აკადემიასთან 1937 წლიდან იხსნება არქიტექტურის ფაკულტეტი. ფაკულტეტზე სწავლის 5-წლიანი კურსია დაწესებული.

#გამოვიდა ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნების“ 7—8.

ფოტო—გამოფენა

თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი რესპუბლიკური ფოტო-გამოფენა, რომელიც მოთავსებულია სახელმწიფო მუზეუმის შენობაში (მესამე სართულზე). გამოფენაში მონაწილეობენ, როგორც პროფესიონალი ფოტოგრაფები, ისე ფოტო-მოყვარულები, ფოტო-კორესპონდენტები და ფოტო-რეპორტიორები. თავისებურად შესანიშნავია ეს გამოფენა. შესანიშნავია იმით, რომ გვიჩვენებს ფოტო-მოყვარულთა არმიის ხარისხობრივ ზრდას, გვაცნობს ჩვენი სახალხო მეურნეობის ფაქტიურ მიღწევებს და გვაძლევს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ გამოიყურება დღეს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკა.

კავკასიონის მედიდური მწვერვალები ნისლმა დაფარა. თეთნულდის სილუეტი გამოძვრა ღრუბლებიდან. ქვემოთ სვანური კოშკებიანი სოფელი გამოჩნდა, ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან, ლატფარის უღელტეხილზე რამდენიმე მგზავრი მიაბიჯებს. თელავის რაიონში კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ადგილობრივი აგრონომი მწიფე მტევნებით დატვირთულ ვაზებს ათვალიერებენ. ორივეს ღიმი გადაჰკრავს სახეზე. მაყურებელსაც უხარია საკოლმეურნეო დოვლათის ცქერა..

ფოტო-ობიექტივიდან ჩანს მრავალი მომხიბლავი და დაუვიწყარი სურათი. აქ თქვენ ნახავთ პირველი ბავშვის შეძენით გახარებულ დედას, უღრანი ტყის სიდიადეს, [illegible] გრანდიოზულობას ცხრა წყაროზე, ქარიშხალს ზღვაზე, თბილისის ქუჩებს, იშვიათი თოვლით დაფარულს, [illegible] თვალწარმტაც პეიზაჟებს და მრავალ სხვა რამეს. ჩვენი ახალგაზრდა ფოტო-მოყვარულები და ფოტო-კორესპონდენტები — შ. ცაგარელი, ა. დიდებულიძე, ჯორბენაძე, ს. შელიოვი, ა. სარდლიშვილი, ა. არუთინოვი და სხვები იძლევიან მაღალი ოსტატობით შესრულებულ ფოტო-დოკუმენტებს. ფოტო-რეპორტაჟიდან ნიმუშები შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამით აიხსნება, რომ მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომლებიც ფიქსირებულია ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, გამოფენაზე წარმოდგენილი არ არის. სუსტად წარმოდგენილია გამოფენაზე ჩვენი დედაქალაქი. გარდა ორიოდე სურათისა, თბილისი გამოფენაზე არა ჩანს. გამორჩენილია გამოფენის მასალებიდან მთელი რიგი დოკუმენტების ასახვა, როგორიცაა სტალინური კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვა, ჩვენი საქალაქო მეურნეობის მიღწევები და სხვ. გარდა რამდენიმე რაიონისა, სრულიად არაა ასახული ის ძვრები, რაც ხდება ან უკვე მოხდა განვლილი წლების მანძილზე ისეთ რაიონებში, როგორიცაა — ქუთაისის, ჯულფის, მახარაძისა და სხვ.

ჭარბად არის ფოტოგრაფიები სვანეთის ცხოვრებიდან, მაგრამ სრულიად არა ჩანს ლეჩხუმი, რაჭა, ხევსურეთი, კახეთი. აღებულია რამდენიმე კურორტი და წარმოდგენილია მრავალი სურათი ათასგვარი ვარიანტით, ამავე დროს არცერთი სურათი არ არის ისეთ კურორტებზე, როგორიცაა ლებარდე, ბახმარო, შოვი, ახტალა.

პროფესიონალი ფოტოგრაფებიდან განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი ნამუშევრები იქვე წარმოდგენილი მინიკს, კუზმინს და ტორის. უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები ყურადღებას იპყრობენ როგორც იშვიათი ოსტატობით, ისე თემატიკური შერჩევის მხრივაც. შესანიშნავია ი. ტორის პორტრეტები (განსაკუთრებით კ. მარჯანიშვილის პორტრეტი) და „ძველი თელავის ტიპები“. ი. ტორის ნამუშევრები უფრო რეპორტაჟული ხასიათისაა და მათში მეტი სიცოცხლე და სისადავეა.

ჩამოთვლილი ნაკლის მიუხედავად, გამოფენა საერთოდ საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს და იგი ღირსია იმისა, რომ მშრომელთა ფართო მასებმა ნახონ. სასურველი იქნებოდა, რომ პროფესიული კავშირები თაოსნობდნენ და მოაწყობდნენ მუშა-მოსამსახურეთა მიერ ამ გამოფენის მასობრივ დათვალიერებას.

დ. ლომთაძე

◇

სპორტი

თბილისის მოკრივეთა ბრწყინვალე გამარჯვება

ქ. ერევანში მოხდა მოკრივეთა საკავშირო პირველობის გათამაშების ნახევრად ფინალური შეხვედრა.

ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და სომხეთის გუნდები. სომხეთის გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ კავშირის ცნობილი მოკრივეები ა. პაპიანი (საბჭოთა კავშირის ფალავანი), ისრაელოვი, ენგიბაროვი, ჯ. პაპიანი, ავაკიანი, მირზოიანი, ხუდავერდიანი და პაპაიანი. თბილისის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ბერიევი, გორგასლიძე, ავეტისოვი, კანდელაკი, ონგემახი, ბაქრაძე, რუდომიოტკინი და ნოვოსარდოვი.

შეჯიბრება ბერიევისა და მირზოიანის შეხვედრით დაიწყო; ბერიევმა სამივე რაუნდის განმავლობაში შესძლო უპირატესობის გამომჟღავნება და გამარჯვებაც მას დარჩა.

მეორე წყვილში გორგასლიძის წინააღმდეგ გამოსული მოკრივე ავაკიანი გამოვიდა. სწრაფი ტემპი და მაღალხარისხოვანი ტექნიკა აშკარად ხდის თბილისელის უპირატესობას.

მესამე წყვილში თბილისელმა ავეტისოვმა დაამარცხა ჯ. პაპიანი.

ძალზე დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის ფალავნის ა. პაპიანისა და კანდელაკის შეხვედრა. პირველსავე რაუნდში კანდელაკმა მეტად რთული კომბინაციები გაატარა, რის შედეგადაც გამარჯვება მას დარჩა.

ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა ბაქრაძემ, რომლის ძლიერ დარტყმებს ვერ გაუძლო ენგიბაროვმა და მეორე რაუნდზე უარი განაცხადა შეჯიბრების გაგრძელებაზე.

გოლიათ პაპაიანის წინააღმდეგ მშვენივრად ჩაატარა შეჯიბრება ნოვოსარდოვმა, რომლის მშვენიერმა ტექნიკამ პაპაიანის ყოველივე ცდა უშედეგოდ დასტოვა. პაპაიანი დაუშვებელ ფანდებს ხმარობდა, რის გამოც იგი მოიხსნა შეჯიბრებიდან და გამარჯვება ნოვოსარდოვს მიენიჭა.

ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა 6:2 ანგარიშით თბილისის სასარგებლოდ.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გაიმართება მოკრივეთა საკავშირო პირველობის გათამაშების საფინალო შეჯიბრება (მეორე ჯგუფში).

ერთმანეთს შეხვდებიან თბილისისა და კარელიის გუნდები.

შ. ფ—ძე

ნარიმანოვის სახელობის კლუბი კულტურის ნამდვილ კერას წარმოადგენს თბილისის 26 კომუნარის რაიონში, რომელიც უმთავრესად თურქებით არის დასახლებული. კლუბში მოწყობილია მხატვრული ქარგვის წრე, რომელმაც გამოუშვა 70 თურქი ქალი; მათ აითვისეს ქარგვა და მუშაობენ სარეწაო კოოპერაციის არტელებში. სურათზე: ინსტრუქტორი ამხ. კულიევა (შუაში) აძლევს მითითებებს კურსების მსმენელებს მხატვრული ქარგვის დარგში.
ფოტო ბუდემტკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ).

ჭადრაკი

ებრალიძე—ლისიცინის მატჩი
მეორე პარტია

21 დეკემბერს ებრალიძე—ლისიცინმა ითამაშეს მეორე პარტია. ლისიცინი თამაშობდა თეთრებით. როგორც მოსალოდნელი იყო, ლისიცინმა პარტია დაიწყო რეტის დებიუტით, რომლის საუკეთესო მცოდნედ ითვლება იგი. ამ დებიუტით მან დამარცხებული ჰყავს ბოტვინიკი და კიდევ სხვა მთელი რიგი ძლიერი მოჭადრაკენი.

პირველ თექვსმეტ სვლაზე მოწინააღმდეგეებმა საათნახევარი დახარჯეს. ამ პარტიაში ლისიცინმა ჯერ გაუთამაშებელი სისტემა აირჩია. ამ გარემოებამ აიძულა ებრალიძე პარტიის პირველი სვლები დიდის დაკვირვებით გაეკეთებინა. დებიუტიდან მაესტრო ლისიცინი გარკვეული უპირატესობით გამოვიდა. მისი ფიგურები ლაზიერის ფრთაზე აქტიურად იყვნენ განლაგებული. ებრალიძე, მიუხედავად ძნელი მდგომარეობისა, ისევე როგორც მატჩის წინა პარტიაში, არ დაბნეულა. თავდაცვის წარმოების დროს, მან გამომგონებლობის დიდი უნარი გამოიჩინა. ლისიცინი, რომელიც ღია ხაზს ჰფლობდა, მოელოდა თავისი უპირატესობის ზრდას, მაგრამ ვერ ითამაშა ზუსტად და თანდათანობით, ებრალიძის ენერგიული სვლების შედეგად, ინიციატივა დაკარგა. დაძაბული ბრძოლის გამო, ორივე მოწინააღმდეგეს შემოაკლდა დრო. ებრალიძე ჩავარდა ცეიტნოტში, გააკეთა შეცდომითი სვლა და წააგო ფიგურა. მეორე დღეს მან გაუთამაშებლივ დასთმო პარტია. პირველ პარტიაზე მოწინააღმდეგენი ფრეზე დასთანხმდნენ.

ა. შ.

◇

სტახანოველი ქალის მარიკა გრიგორიადის მოკვლა

ბათუმი, 22 დეკემბერი. (ჩვ. კორ.) 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში თავის ბინაში დანით მოკლეს კომკავშირელი სტახანოველი ქალი მარიკა გრიგორიადი.

მკვლელობის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდნენ აჭარის რესპუბლიკის მილიციის უფროსი, შინსახკომის წარმომადგენლები, პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლები. იმავე ღამის 3 საათზე მკვლელი ვასილ რედკოვი დააპატიმრა რესპუბლიკის მილიციამ.

დღეს მკვლელობის ადგილზე გაემგზავრა აჭარის რესპუბლიკის პროკურორი, რომელმაც თქვენს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ვერაგული მკვლელობის საქმის გამოძიება ხუთ დღეში დამთავრდება.

შ. ფურცელაძე

◇

შემთხვევები

#**ქურდების დაპატიმრება.** მილიციამ შეიპყრო ქურდთა ბანდა, რომელიც ავტოსარემონტო ქარხანაში მოქმედებდა. ბანდაში შედიოდნენ ა. ს. მარტიროსოვი, ა. ლ. იბოიევი, ნ. ა. კალაჩევი, პ. რ. ლიპოვეცი, ბ. ა. კანტემიროვი, ვ. ნ. მემარიშვილი და ბ. ი. შვეჩენკო. 20 დეკემბერს ამ ბანდამ ვინმე ტ. შ. თეზაშვილთან ერთად ქარხანაში მოიპარა ავტომობილის ნაწილების დიდი პარტია. ქურდებს პასუხისგებაში აძლევენ. გატაცებული ქონება ქარხანას დაუბრუნდა.

#**გაუფრთხილებლობის შედეგი.** 20 დეკემბერს სანაპირო ქუჩაზე ავტომანქანამ № 21—26 გაიტანა მოქ. დ. ა. ბოჭორიშვილი (სვერდლოვის ქ. № 13). მძიმედ დაშავებული ბოჭორიშვილი საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი კანდელაკს პასუხისგებაში აძლევენ.

#21 დეკემბერს დილით ორჯონიკიძისა და ჩელუსკინელთა ქუჩის კუთხეში № 2 მარშრუტის ტრამვაის ვაგონმა გაიტანა უცნობი ქალი. გვამი ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში გადაიგზავნა. ვატმანი ნ. ა. სტეფნო დაპატიმრებულია.

◇

პარტკალენდარი

საქ. კპ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს მუსრაშვილ მერაბ ოღლის (აბაშის რაიონი) სამი დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. ავსაროვთან (რუსთაველის პრ. ც. კ-ის შენობა, პირველი სართული).

○

23 დეკემბერს სტალინის რაიკომის პარტიული განათლების სახლში გაიმართება ჯგუფური კონსულტაცია პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „საბჭოთა სა[illegible] შესახებ“. კონსულტანტი ამხ. გილი.

○

საქ. კპ. (ბ) ჯავის რაიკომი აცხადებს: გაუქმებულად ჩაითვალოს დაკარგული პარტბილეთი № 1524773, 1936 წლის ნიმუშისა, გაცემული ა. წ. 4 ივლისის თარიღით ჯავის რაიკომის მიერ ივანე ალექსანდრეს-ძე გაჩეჩილაძის სახელზე.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი	
23.XII	ანზორ
24.XII	ანზორ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი	
23 XII წარ. № 64	შორეული
24 XII წარ. № 65	მზის დაბნელება საქართველოში

სახცირკი
ტელ. 3 11 44
24/XII დღის 2 წარ. [illegible] რკინიგზა. დას. 12 ს., 2-30

დღეს, 23 დეკემბერს
განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა
ახალი არტისტების 1-ლი [illegible] ბუფონადის საუკეთესო არტისტები [illegible] ფედორიჩები [illegible] ზოლოლოს [illegible] ხოლოლის [illegible] ნიბუ [illegible] 40-მდე [illegible]. დასაწ. 8 ს. 30 წ.

ს. წ. 26 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, „გლავკოჟობუვპრომის“ (სოიუზ-კოჟობუვსბიტი) მაღაზიის შენობაში შესდგება
მყიდველების კონფერენცია
გთხოვთ დაესწროთ კონფერენციას ჩვენი მაღაზიის მუშაობისა და მომსახურეობის ცოდნით და განახლებულ-ნაწარმის შესახებ მოღვაწეობას შესაძლო ად.
16616 დირექცია.

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი 5, 7 40 9 20, 11	ახალი ხმოვანი სახუმარო მუსიკალური კომედია (რუსულ ენაზე) ანტიკ პოლიციის უფროსი
[illegible] 6-20, 8, 9 40, 11-20	
კომკავშირელი 6 30, 8-30, 10-30	მხატვრ. ფილმი (ახალი [illegible]) ბორა [illegible]
რ. ლუქსემბურგის სახ. 6 30, 8, 9 30, 11	დღისით და ს ღამით ხმოვანი ფილმი კარლ ბრუნერი
26 კომ. სახ. 6 30, 8, 9-30, 11	ხმოვანი ფილმი ლურჯი ზღვის პირას
[illegible] 6 30, 8 30, 10 30	ხმ.-ვ. ქრ. [illegible] ქალთა [illegible]

თანახმად საკნარწლეუქავშირის პრეზიდიუმის ს მ დაწყვეტილებისა და არტელის წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება საქ. კოოპერატიული კავშირის სისტემაში შემავალი ქ. გორის არტელის „პირველი ნაბიჯის“ ლიკვიდაცია ა წ. 20 დეკემბრიდან.
ყოველგვარი პრეტენზიები წარმოდგენილ უნდა იქნას 31 დეკემბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია განხილული არ იქნება. ლიკვიდკომის მისამართი: ქ. გორი, რუსთაველის ქ. № 66.
16648 ლიკვიდკომი.

თანახმად საქკარეწვაკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებისა, ტარდება არტელ „ბოსტანას“ ლიკვიდაცია.
პრეტენზიები მიიღება 1937 წლის 1 იანვრამდე. მისამართი: სტალინირი, ს ხანკი—ლიკვიდკომისათვის
16617 ლიკვიდკომი.

მიიღეთ ხელი მოაწერეთ 1937 ჟურნალ-გაზეთებზე წლისათვის

ხელისმოწერის პირობები გაზეთებსა და ჟურნალებზე:

გაზეთები
„კომუნისტი“
ყოველდღიური.
1 თვით 2 მ. 50 კ., 3 თვით 7 მ. 50 კ., 6 თვით 15 მ., 12 თვით 30 მ.

„ახალგაზრდა კომუნისტი“
ყოველდღიური.
1 თვით 2 მ. 50 კ. 6 თვით 15 მ.
3 თვით 7 მ. 50 კ. 12 თვით 30 მ.

„ნორჩი ლენინელი“
თვეში ოთხჯერ.
1 თვით 25 კაპ. 6 თვით 1 მ. 50 კ.
3 თვით 75 კაპ. 12 თვით 3 მ.

ჟურნალები
„ბოლშევიკი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კაპ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„პარტიული მშენებლობა“
თვეში ორჯერ.
1 თვით 1 მან. 6 თვით 6 მ.
3 თვით 3 მან. 12 თვით 12 მ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კაპ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„მშრომელი ქალი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 40 კაპ. 6 თვ. 2 მ. 40 კ.
3 თვით 1 მ. 20 კ. 12 თვ. 4 მ. 80 კ.

„პიონერი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

„ოქტომბრელი“
თვეში ერთხელ.
1 თვით 50 კ. 6 თვით 3 მ.
3 თვით 1 მ. 50 კ. 12 თვით 6 მ.

ხელისმოწერა უნდა ჩააბაროს:
„სოიუზპეჩატს“, ფოსტ. და წერილების მტარებლებს, ხელისმომწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში და პოლიტგანყოფილებათა გამომცემლობებს ტრანსპორტზე.
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა „კომუნისტი“.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 14 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40 მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ჰ. თოიძის სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 62. მთავლიტის რწმუნებული ბ—8878